50-იან წლებში ზემოაღნიშნულ შემსრულებელთა გარდა თბილისის ეწვივნე მევიოლინეები ა. მიულერი (1851-54 წწ.), ნოსკი (1859), დიმიტრიევა-უეინა (1860), პიანისტი ჭალი მ. მალესკი (1857 წ.). ანსამბლებიდან საკონცერტო თბილისში იმხანად არავინ ჩამოსულა. ეს მოხდა უფრო მოგვიანებით, 70-იან წლებში, რომელსაც წინ უძღვდა გარკვეული ძვრები მუსიკალური განათლებისა და კამერული შემსრულებლის პროფესიონალიზაციის საქმეში. საქართველოში, მის ხაზს, სახელმწიფო თუ პოლიტიკურ მოღვაწეები უმნიშვნელო გამოწილების სახით, უშუაესი დროიდან იზიდავდა ევროპული კულტურა. ქვეყნის წარსული, მისი ცხოვრების, სარწმუნოების თუ კულტურის წყობა და განვითარება მივიითი-



თებზე ამ ლტოლვის ორგანულობასა და ბუნებრივობაზე უფრო მოგვიანებით გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები რუსეთის სახელმწიფოთი უკანაბრედენ ვერაბულ კულტურას.

საქართველოში პირველი პროფესიული ინსტრუმენტული ანსამბლების — სიმებიანი კვარტეტის, საფორტეპიანო ტრიოს და სხვა კამერული მუსიკის სახეების შექმნას წინ უძღოდა მუსიკის მოყვარული შემადგენლობით ჩამოყალიბებული ანსამბლების ხანგრძლივი არსებობა. ქართული კულტურის აღ-მავლობა, რომელიც დაეკავშირებულა „თერგდალულთა“ მოღვაწეობის პერიოდთან, შეუბო მუსიკალურ სამყაროსაც. 1871 წელს თბილისში მოღვაწეობას იწყებს ე. წ. „კავკასიის მუსიკალური საზოგადოება“, რომელსაც, მართალია, დიდხანს არ უარსებია, მაგრამ თბილისის მუსიკალური ცხოვრების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ჯერ კიდევ „საზოგადოების“ არსებობის პერიოდში მისმა ერთ-ერთმა წევრმა ბ. ი. სავანელმა გახსნა საუნდო სიმღერის უფასო კლასები. 1874 წელს მისივე ინიციატივით, ალოიზ მიხანდარ-იან ერთად შეიქმნა მუსიკალური სკოლა, სადაც შეცდენიეობა მიმდინარეობდა სოლო და საუნდო სიმღერაში და ფორტეპიანოზე. 1876 წელს მტკიცდება სკოლის წესდება, ამავე წელს იხსნება ვიოლინოს კლასი, ხოლო 1879 წელს ჩელოსა და კლარნეტის, ერთი წლით ადრე — ფლეიტის.

ინტერესმოკლებული არ არის ფაქტის აღნიშვნა, რომ თბილისში იმ ხანად არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მუსიკალური განათლება ითვლებოდა როგორც აუცი-ლებელი ზოგადი განათლებისათვის. ეს გარემოებაც უწყობდა ხელს მოსახლეობის ფართო ფენების მუსიკალურ გათვითცინო-ბიერებას. მუსიკალურ სკოლაში გაიზარდა მოსწავლეობა რაი-დენობა, გადიდა პერდაგოგების შემადგენლობაც.

სკოლის მმართველობა დიდ ენერჯიას ანდომებდა კამე-რული კონცერტების ორგანიზაციას, რომელიც ძირითადად სა-თაპრო თეატრების არტისტების ძალებით ტარდებოდა. მიუ-ხედავად მთელი რიგი ხელშემშლელი გარემოებებისა, სკოლის ხელმძღვანელობა მაინც ახერხებდა კამერული კონცერტების სისტემატურ ჩატარებას. სეზონის განმავლობაში რამდენჯერმე ეწყობოდა ინსტრუმენტული ტრიოსა და კვარტეტის კონცერ-ტები. მაგრამ, რასაკვირველია, ჩაყარდნებიც იყო. ასე, 1876-77 წ. წ. სეზონში კამერულ-ინსტრუმენტული კონცერტი მხო-ლოდ ორჯერ გაიმართა.

საინტერესო და ყურადსაღებ დოკუმენტს წარმოადგენს გაზეთ „კავკასიში“ (1877 წ. 3/4) მოთავსებული ხელმოწერი-ლი რეცენზია:

„2 მაისს შედგა მეორე და, სამწუხაროდ, სეზონის უკანს-კნელი საკვარტეტო საღამო. საღამო დაიწყო ბეიოჟენის კვარტეტით A dur ორი ვიოლინოსა, ალტისა და ჩელოსათვის. ამ შეგებში კომპოზიტორის ამ ყველასათვის ცნობილი, გრან-დოროლო ქმნილების უტყვარ ღირსებებს. მე მუსის ვიქვა ჩვენში, თბილისში ამ ნაწარმოების რამდენიმე კარგ შესრ-ლებასზე... კვარტეტს მოჰყვა ბეთოჟენის ტრიოს (D. dur) შესრულება, რომლის საფორტეპიანო პარტიას ასრულებდა ქ-ნი კოჯანოვა. გასაკვირა, რომ პროგრამებში აღნიშნება მხოლოდ საფორტეპიანო პარტიის შემსრულებელთა გვარები, ხოლო დასარჩენი შემსრულებლები აუდიტორიის უმრავლესო-

ბისათვის უცნობი რჩება. (რეცენზენტი აღნიშნავდა მარტლაც უცნარ ფაქტს, მაგრამ თვითვე საკუთარ რეცენზიაში უკვეცხ-ტეტის წევრთა არცერთი გვარი არ მოიხსენი-ბა) — ქ-ნი [სახელი] და მამოვარდა პირველი განყოფილება. შემდეგ შესრულებული იყო შუბერტის ტრიო, რომელშიც პირველად მოიხსნა ქ-ნი ლიშნეკოს მოსმენა. მისი შესრულება იყო მშვენიერი, განსა-კეთრებული სისუფთავითა და მკაფიოებით გამოირჩეოდა ცალ-კეული, საკმაოდ რთული პასაჟები, ტრელები და არპეჯიო-ები“.

1878-79 წლების საკონცერტო სეზონში ჩატარდა ხუთი კამერული, ე. წ. საკვარტეტო საღამო. კვარტეტის შემადგენ-ლობაში შედიოდა I ვიოლინი — ტრუფი, II ვიოლინი — ლონგო, ალტი — მარტოზატი და ვიოლონჩელი — ტრიანი. პროგრამაში იყო მოყვარული E. S. dur, ბეთოჟენის მე-3, მენ-დელსონის პირველი და სხვათა კვარტეტები. საღამოებზე გა-მდიოდა ტრიოც. საფორტეპიანო პარტიას მონაცვლეობით ასრულებდნენ ალისანგო, დავიდოვა, მაკაროვიანი, სავიოლი-ნი და ჩელოს პარტიებს — ტრუფი და ტრიანი. პროგრამაში იყო ჰუმელის, შუპანის, სენ-სანსის ტრიოები. ერთ-ერთ კონ-ცერტზე ინსტრუმენტული ანსამბლის მიერ ჩელოსებულ ექნა ბეთოჟენის სუბტიტი ვიოლინოს, ალტის, ჩელოს, კონტ-რამასის, ფლეიტის, კლარნეტისა და ვალტორნისათვის (თხ. 20).

გასული საუკუნის 60-70-იან წლებში თბილისში საგას-ტროლოდ ჩამოდიან ცნობილი ინსტრუმენტალისტები, მათ შორის მევიოლინეები ვენიავსკი, ა. კომანი, ა. მარკვეიჩი, ვი-ოლონჩელისტი ა. პარტენი, პიანისტები, არტისტები. სხვათა-შორის დამოუკიდებელი სოლო-კონცერტებით გამოდიან ქარ-თველი ვოკალისტი — ტენორები: ბრიძი (1869), ჯორჯა-ძე (1871), რომ არაფერი ვთქვათ პირველ შესანიშნავ ქარ-თველ პიანისტ ალოიზ მიხანდარზე. 1871 წ. თბილისში სა-გასტროლოდ ჩამოდიან საფორტეპიანო ტრიო კონსტკეების მონაწილეობით: ფორტეპიანოს პარტიას ასრულებს ვანდა კონ-სტკეები, ვიოლინოს — აპოლინარი, ჩელოს — სიგიზმუნდი. აპოლინარ კონსტკეები იყო იმ დროისათვის გამოჩენილი მუსი-კალური მოღვაწე, პაგანინის მოწაფე, მისი ქალიშვილი ვანდა — ლისტის მოწაფე. სამწუხაროდ, ხელთ არა გვაქვს ამ კონცერ-ტების პროგრამა და რეცენზიები მათს შესახებ. მაგრამ მინი-შელოვანიას ახელი სახელმძღვანელო მუსიკოსების თბილისში ჩამოსვლის თვით ფაქტი, რომელიც მოწმობს იმდროინდელი თბილისის მშენებელთა მუსიკალური ჰორიზონტის გაფართოე-ბას.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის თავისებურმა კულტურულმა ცხოვრებამ განაპირობა საჭარათველოში ვოკალური მუსიკის (სოლო და საუნდო) უფრო სწრაფი ტემპით განვითარება და პოპულარიზება, ვიდრე ინსტრუმენტული მუსიკის და ამიტომ არაფერია გასაკვირი, თუ ოპერა და ბალეტი თბილისში პოუ-ლობდა გაცილებით მეტ აუდიტორიას, ვიდრე კამერულ-სა-შემსრულებლო ხელოვნება. ინსტრუმენტული კონცერტების რაოდენობის შემცირება გამოწვეული იყო არა იმდენად ამ გარემოებით, არამედ იმით, რომ კვარტეტის მონაწილეები საყ-მარის დროს ვერ უთმობდნენ ამ საქმეს. ინსტრუმენტალისტე-ბის საკმაო რაოდენობის მიუხედავად ამ საქმეში დაქვეითება



შესამჩნევად იგრძნობოდა. წარმოიშვა აუცილებლობა რადიკალური ღონისძიებების მიღებისა. და აი, უკვე 1881 წ. მუსიკალურ სკოლასთან იქმნება ე. წ. „მუსიკის მოყვარულთა წრე“, რომელიც მიზნად ისახავდა თბილისის მუსიკოსთა თავმოყრას, მათი საშემსრულებლო მოღვაწეობის ორგანიზებულ წარმართვას. ჩატარებულმა ღონისძიებებმა თავისი შედეგი გამოიღო: ჩამოყალიბდა კვარტეტი, ტრიო ცოტად თუ ბევრად სტაბილური შემადგენლობით. კვარტეტი: I ვიოლინი — გორდენსკი, II ვიოლინი — გურკო ან პოტაპოვი, ალტი — ლემანი ან მეიერი, ჩელო — მამინი. ტრიო: ფორტეპიანო — კესნერი, ვიოლინი — გორდენსკი, ჩელო — მამინი. იყო მეორე შემადგენლობა: ფ-ნო ბელსკაია ან ახვერდოვა, სიმებიანი — ლემანი და მამინი. საფორტეპიანო კვარტეტებში მონაწილეობას იღებდნენ გარკვეწათა ან ალიბანოვა. სიმებიანი ჯგუფები იგივე შემადგენლობით გამოიდიდა. ყურადღებას იქცევს ახალი შემსრულებლების მონაწილეობა ანსამბლში.

უკვე 1881-82 წ. სეზონში „მუსიკის მოყვარულთა წრეში“ შემსრულებელი 12 კონცერტის ჩატარება. ეს საკამად სოლიდური ცოფრია. კონცერტების პროგრამაში შედიოდა სოლო და საანსამბლო სონატები, საფორტეპიანო და სიმებიანი ტრიოები, საფორტეპიანო და სიმებიანი კვარტეტები, კვინტეტები და კამერული ანსამბლების სხვა სახეობა. საკვარტეტო ლიტერატურიდან სრულდებოდა ჰაიდნის, ბეთოვენის, მენდელსონის, რუბინშტეინის, შუმანის ნაწარმოებები. 1882-83 წლების სეზონში კონცერტების რიცხვი შედარებით შემცირდა. შედგა ხუთი მუსიკალური თავშეყრა, რომელზეც შესრულდა ბეთოვენის კვარტეტები, ტრიო და კვინტეტი, შუბერტის, შუმანის, მენდელსონის, ბარტიოლის ნაწარმოებები. შუმანის კვინტეტში საფორტეპიანო პარტიას ასრულებდა ფელდაუ, I და II ვიოლინოების პარტიებს — სალინი და დუშა.

1883 წელს მომხდარი ცვლილებების შედეგად საქართველოში „მუსიკის მოყვარულთა წრის“ ნაცვლად ისწნება „რუსული საიმპერატორო მუსიკალური საზოგადოების“ თბილისის განყოფილება, მუსიკალური სკოლა თავის მხრივ გადაკეთდა მუსიკალურ კლასებად, რომლის სასწავლო პროგრამის მე-5 პუნქტად შეტანილი იქნა საანსამბლო დაკრების საგანი.

როგორც ცნობილია, „ელასები“ შემდეგი გადაკეთდა მუსიკალურ სასწავლებლად, ხოლო 1917 წელს სასწავლებელი — კონსერვატორიად.

რა ზღვაა ქალაქის საკონცერტო ცხოვრება და კერძოდ კამერულ სალაშობზე?

1883-84 წლების სეზონში ე. ი. ზემოლინიშნული ცვლილებების დროს, მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილების მიერ ტარდება 7 მუსიკალური კრება. ყველა ამ კრებაზე (ანუ კონცერტზე) გამოდის სიმებიანი კვარტეტი და აფორტეპიანო ტრიო. სიმებიანი კვარტეტის შემადგენლობა თბილისის მანძილზე რჩებოდა უცვლელი: I ვიოლინი — გორსკი, II ვიოლინი — ლემანი, ალტი — მასი, ჩელო — ტორიანი. ტრიოში ან კვარტეტში, აგრეთვე სონატების შესრულებისას საწარმო პარტიას ასრულებდნენ კესნერი და ბეტინგი.

1885-86 წლებში კვარტეტში ისევე, როგორც ტრიოში შემადგენლობაში მოხდა ძირეული ცვლილებები. I მევიოლინედ დარჩა გორსკი, ყველა დანარჩენი შეიცვალა. დ. ლვევისონი,

ე. რესლერი, დ. ცილდერი, რომელიც მალე შეცვალა მ. ვინბრენმა). კონცერტების პროგრამა გაფართოვდა და სწრაფი ტის გახდა: ბეთოვენის კვარტეტები № 1, 2, 3, 4, 5, მისერტის რამდენიმე კვარტეტი, მათ შორის № 12 (G dur), ჰაიდნის, შუბერტის, მენდელსონის კვარტეტები; შუმანის ტრიო № 1 (F dur) ბეთოვენის ტრიო № 3 (c-moll), სონატები ვიოლინოსა და ჩელოსათვის ფ-ნოს თანხლებით. 1886 წ. 6 იანვარს საზოგადოების კრებაზე პირველად იქნა შესრულებული ჩაიკოვსკის რემაციონული კვარტეტი.

1886-87 წლებში ე. ი. მუსიკალური კლასების მუსიკალურ სასწავლებლად გადაკეთებასთან დაკავშირებით, ტარდება კვარტეტის 5 მუსიკალური კრება. კონცერტების პროგრამაში, გარდა დასავლეთ ევროპის კლასიციზმ კომპოზიტორებისა, სრულდება რუსული კვარტეტები: ბოროდინის კვარტეტი № 1 (A dur), რუბინშტეინის № 2 (c-moll), მისივე შესამბლო ტრიო (B dur).

განსაკუთრებით აღსანიშნავია 1887-88 წლების სეზონი, როდესაც კვარტეტის შემადგენლობაში შედის პირველი ქართველი პროფესიონალი — ვიოლინოლისტი ივანე თედორეს ძე სარაჯიშვილი (ვანო სარაჯიშვილის ბიძაშვილი), იგი მრავალი წლების მანძილზე რჩებოდა ყველა კამერული ანსამბლების (კვარტეტი, ტრიო, კვინტეტი, ინსტრუმენტული ოქტეტი, სონატური დუეტი) უცვლელ მონაწილედ. იგი იყო პირველი პროფესიონალი კვარტეტისტი.

ი. თ. სარაჯიშვილმა 1886 წელს დამთავრა მოსკოვის კონსერვატორია (პროფ. ვ. ფ. ფიტცენგაგენის კლასი) თავისუფალი მხატვრის დიპლომითა და დიდი ვერცხლის მედლით. დასრულებისთანავე დასახლდა თბილისში და დიიყო მრავალმხრივი, მტკად პროდუქტიული მუშაობა. იგი იყო არა მარტო შესანიშნავი ანსამბლისტი, არამედ შესანიშნავი სოლისტიც. ხანგრძლივი წლების მანძილზე პარალელურად თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მისი კლასი თვლდებოდა ერთ-ერთ საუკეთესოდ. სარაჯიშვილმა შეუწყო ხელი ჩელოსადმი საზოგადოებრივი ინტერესის გაზრდას (სხვათაშორის, მასთან ბავშვობაში სწავლობდა ვანო სარაჯიშვილი). განეთარებულ, კულტურული მუსიკოსი სარაჯიშვილი ამავე დროს დაინტერესებული იყო ფოლკლორითაც. აგრეობდა და ნოტებზე ფარდაქმნა ქართული ხალხური სიმღერები, წერდა მცირე ფორმის საგუნდო ნაწარმოებებს, მინიატურებს ვიოლინოლოსათვის. პირველი თაობის ქართველ ვიოლინოლისტებს მისი სახით ჰყავდათ მაღალპროფესიული მუსიკოსი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სამშობლოში ახალ პროფესიას.

სარაჯიშვილიან ერთად ანსამბლებში მონაწილეობას იღებდნენ პიანისტი ლ. ბეტინგი, მევიოლინეები — გორსკი, ნავროცი. პროგრამაში ტრასიკოსების გარდა იყო დავიდოვის კვარტეტი, ნაპრავენის კლასი, მენდელსონის ოქტეტი. აღნიშნულ სეზონში დავიდოვის კვინტეტის შესრულებისას საფორტეპიანო პარტიას ასრულებდა თბილისში სავასტროლოდ ჩამოსული ე. ი. საფონოვი. ე. ი. დავიდოვთან რუსული საიოლოლინო სკოლის ფუნდამენტთან ერთად, რომელიც იმხანად აგრეთვე თბილისში საკონცერტოდ იმყოფებოდა, საფონოვი, ასრულებდა ბეთოვენის სონატებს ჩელოსა და ფორტეპიანო-

სათვის. ამ ორი მხეცვანი მუსიკოსის კონცერტები თბილისის მუსიკალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა.

1887 წლის აპრილში თბილისს ეწვია ე. წ. ტიროლიის კვარტეტი, მაგრამ მისი შემადგენლობა ჩვენთვის უცნობია. ცნობილია მხოლოდ, რომ მასში მონაწილეობას იღებდა ცნობილი ვირტუოზი სანტურზე (Llura) დამკვრელი ვინმე ბანტი. იმავე წელს თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა ცნობილი პიანისტი ქალი ა. ი. ესიპოვა. შემდეგ წლებში კი ვიოლონჩლისტი დ. პოპერი (1884), მევიოლინე ნ. ვენიავსკი (1879) და სხვ.

სიმებიანმა კვარტეტმა სარაჯიშვილის მონაწილეობით 1888-89 წ. სეზონში ჩაატარა ნ მუსიკალური საღამო. კვარტეტის წევრებზე კომპოზიტორი მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი წერდა: „... კ. კ. გორსკი და ე. ა. კოლჩინი—შესანიშნავი მუსიკოსებია, ორივემ დაამთავრა პეტერბურგის კონსერვატორია. ი. თ. სარაჯევი — პროფესორ ფიტცენგაგენის მოწაფემ ბრწყინვალედ დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია... ჩამოყალიბდა მუდმივი სიმებიანი კვარტეტი შემდეგი შემადგენლობით: კ. კ. გორსკი (I ვიოლინი), ე. ა. კოლჩინი (II ვიოლინი), ე. ა. რესლერი (ალტი) და ი. თ. სარაჯევი (ჩელო). ანამალი იმდენად კარგი გამოდგა, რომ ჩვენი საღამოები თბილისისათვის გადაიქცა მოდელ და მსმენელთა დიდი რაოდენობა მოიზიდა“. მხეცვანი მუსიკალური მოღვაწის ეს საინტერესო აღიარება მაჩვენებელია იმისა, თუ როგორ გაიზარდა ხალხში ინტერესი კამერული ანსამბლებისადმი, კერძოდ კი სიმებიანი კვარტეტისადმი. აქვე აღსანიშნავია, რომ მსმენელთა მუდმივ ნაწილს შეადგენდნენ მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგები და მოსწავლეები, რომელთა რიცხვი წელთა მანძილზე იზრდებოდა. ანსამბლის პროგრამაში იყო კვარტეტები: გლინკას (F dur), ჩაიკოვსკის (F dur), ბეჰოპენის (B dur), მოცარტის (D-dur), ჰაიდნის, შუბერტის, ნაპრავენის; შუბერტის კვინტეტი (პიანისტი ბუტინგი). პიანისტი ე. ელისევეა-ლოძისთან ერთად სარაჯიშვილი ასრულებდა რუბინშტეინის რემპაჟორულ სონატას, როგორც სოლისტი ი. სარაჯიშვილი არაერთგზის გამოდიოდა სიმფონიურ ორკესტრთან ერთად იპოლიტოვ-ივანოვის დირიჟორობით. ასრულებდა გოლტერმანის კონცერტს (a-moll) და ჩაიკოვსკის „როკოკოს“.

1889-90 წლების სეზონში კვარტეტმა (შემადგენლობით ე. კოლჩინი, მ. შიფერი, ი. ბილიბინი, ი. სარაჯიშვილი) ჩაატარა ნ მუსიკალური საღამო. შესრულდა ჰაიდნის, ბეთოვენის, მოცარტის, ბრამსის, ლეიბლვის, გრაფის ნაწარმოებები. ერთ-ერთ კონცერტზე შუბერტის ტრიოში საფ-ნო პარტიას ასრულებდა ი. სარაჯიშვილის მეუღლე ცნობილი პიანისტი მ. ი. უნტიკოვა. 1889 წლის ოქტომბერში ა. რუბინშტეინის მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით, რომელიც ზეიმით აღინიშნა თბილისში, შესრულდა მისი ტრიო (B dur), საფ-ნო პარტიას ასრულებდა ი. მატკოვსკი. ნოემბერში კი იმავე თარიღს მიეძღვნა სიმფონიური კონცერტი მთლიანად იუბილარის ნაწარმოებებისგან შემდგარი.

ამგარდა, სახეობით მოწესრიგდა კვარტეტის, ტრიოსა და სხვა კამერული ანსამბლების საკონცერტო ცხოვრება, ფარ-



ივანე სარაჯიშვილი

თვლება რეპერტუარი, შემადგენლობა შედარებით მყარი ხდება. ერთ დროს პროგრამაში კიდევაც აღინიშნებოდა — „მუდმივი კვარტეტის მონაწილეობით“.

მოკლედ უნდა შევხედოთ ვენიავსკის რუსი კომპოზიტორის პეტრე ილიას-ძე ჩაიკოვსკის თბილისში ყოფნის პერიოდს. 1886-90 წლებში ჩაიკოვსკი, როგორც მშვენიელი თბილისში ჩამოსვლისას ესწრებოდა კამერულ საღამოებს, რომლებსაც მოყვარულები მართავდნენ ოჯახებში. კომპოზიტორი მათდამი დიდ სიყვარულსა და ინტერესს ამჟღავნებდა. საკვარტეტო საღამოები მეტწილად ტარდებოდა ინჟინერ იოსებ ზაქარაიას ძე ანდრონიკაშვილის სახლში. იოსები მუსიკის დიდი მოყვარული, ამ საქმის ერთთვისასტი და რიგიანი მევიოლინე იყო. ამავე დროს, მიზანდართან და სავანელთან ერთად იგი შედიოდა რუსული მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილების გამგეობაში და საპატიო ადგილი ეკავა თბილისის მუსიკალურ მოღვაწეთა შორის. წლების მანძილზე უყვარდა მოყვარულთა კვარტეტებში და ნახევრადპროფესიულ ანსამბლებში. ასე იყო ჩაიკოვსკის მორიგი ჩამოსვლისას თბილისში. კვარტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ გორსკი, ანდრონიკაშვილი, კოლჩინი და სარაჯიშვილი.



თბილისში პირველი ჩამოსვლისას ჩაიკოვსკიმ მოისმინა კვარტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა მისი ძმა ანატოლი (II ვიოლინო), ანდრონიკაშვილი (I ვიოლინო), კირილიუკი (ალტო), სმირნოვი (ჩელო). ერთ ასეთ საკვარტეტო სადამოხე არ მოვიდა კვარტეტის ერთ-ერთი წევრი (ჩელო) და დიდმა კომპოზიტორმა ჩელოს პარტია ბუჰოვენის კვარტეტიდან შეასრულა რიგაღზე. ამ ფაქტმა ზოგიერთებს საბაბი მისცა იმის მტკიცებისა, რომ ჩაიკოვსკი ვითომ უკრავდა კვარტეტთან ერთად.

მოყვარულთა საკვარტეტო სადამოებისადმი გულგრილი არც კომპოზიტორი იპოლიტოვ-ივანოვი რჩებოდა, რომლის ღვაწლით ქართული პროფესიული მუსიკის განვითარებაში განუზომილად დიდი. იპოლიტოვ-ივანოვი ესწრებოდა ანდრონიკაშვილთან და სარაჯინშვილთან მოწყობილ კვარტეტის სადამოებს.

სახელოვანი კომპოზიტორების ესოდენ დიდი ყურადღება საკვარტეტო სადამოების მიმართ და მათი დასწრება მიგვიჩიოთებს თვით ამ ანსამბლის გატყვეულ მხატვრულ ღირსებებზე.

ზე. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ჩაიკოვსკი იმხანად ატარებდა მძიმე კვარტეტის ავტორი იყო.

საქართველოში პეტრე ჩაიკოვსკისა და იპოლიტოვ-ივანოვის ჩამოსვლამ, უფრო მოგვიანებით კი ანტონ რუბინშტეინისა (1891 წ.), ხოლო 1863 წელს „მძლავრი ჯგუფის“ შემქმნელის — ბალაიკინის მოგზაურობამ საქართველოში, აგრეთვე იმ დროისათვის ცნობილი შემსრულებლების (ვ. ი. დავიდიოვი, ვ. ს. საფონოვი, ა. ი. ზილოტი, ა. ნ. ესიპოვა და სხვ.) გასტროლებმა უდავოდ დიდი კვალი დააჩინეს თბილისის მუსიკალურ ცხოვრებას, ხელი შეუწყვეს მისი საკონცერტო ცხოვრების ტრადიციის დამკვიდრებას, რამაც იგი გადააქცია ერთ-ერთ საყოველთაოდ აღიარებულ მუსიკალურ ქალაქად. „მე არ ველოდი, — წერდა ჩაიკოვსკი, — რომ თბილისში ჩემს მუსიკას თურმე ასე კარგად იცნობენ. ჩემი ოპერები აქ უფრო ხშირად სრულდება, ვიდრე სადმე სხვაგან და განსაკუთრებით დიდი წარმატებით სარგებლობს „მაზპეა“. ყოველივე ეს ჩემთვის ძალზე სასიამოვნოა და ამით კიდევ უფრო მიზიდავს თბილისი, რომელიც ისედაც ძალიან მომწონს“.

ნახატი შუქს ჰყენს ისტორიას

სანდრო გვალია



ისტორიული წყაროებისა და ცალკეულ გამოკვლევებათა მასალების მიხედვით სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725 წ.წ.) როგორც ლიტერატურული, ისე სამოგზაურო და დიპლომატიური მოღვაწეობა დროის მიხედვით თითქმის მთლიანად ემთხვევა ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის (1643-1713 წ. წ.) მოღვაწეობის პერიოდს. დასაშვებია, რომ ჟან შარდენი მეორედ მგზავრობისას, როდესაც იგი საქართველოს გავლით (1672-1673

წ. წ.) სპარსეთსა და ინდოეთში მიემგზავრებოდა, კიდევაც შეხვდა სულხან ორბელიანს, თუნდაც სრულიად ახალ-გაზრდას (14-15 წლისას), მითუმეტეს, რომ იგი საქართველოში თავს მისიონერად ასაღებდა. თუ ეს არ მომხდარა, არც ისაა გამორიცხული, რომ საბა ჟან შარდენის შრომებს გაცნობოდა პარიზში, ვერსალში ან რომში ყოფნისას, რადგანაც იმ დროისათვის (1711-1714 წ. წ.) ამსტერდამში უკვე მთლიანად იყო გამოცემული შარდენის მოგზაურობათა სრული ნა-

წერები ნახატებიანი ატლასის დართვით.

ასე თუ ისე, ორი იშვიათი მომენტი მაინც მათი მოღვაწეობისა, რაღაც მნიშვნელოვან ურთიერთკავშირს გვესახება. გესურს ეს მოსახრება, ერთსა და იმავე საკითხში მათი იშვიათი დამთხვევით, გავაშუქოთ.

როგორც ცნობილია, შარდენი საქართველოში (კერძოდ კოლხეთში) მოგზაურობისას ყველა ღირსშესანიშნავს და განსაკუთრებით საყურადღებოს ახატვინებდა თავის თანამგზავრ

ზატარ გრელოს. ასე გამოჩნდა 1672 წ. კოლხეთში შესრულებული და 1711 წელს ამსტერდამში დასტამბულ ქ. შარდენის შრომებთან ერთად ნახატებიანი ატლასი. მსურს ყურადღება შევაჩერო სწორედ ამ ატლასში მოთავსებულ ერთ სურათზე, რომელზეც გამოსახულია თხილამურზე შემდგარი ქართველი, ან როგორც მისთვის მიუწერიათ — მეგრელი (ამ სურათის რეპროდუქციას აქვე ვათავსებთ). უდავოა, რომ ეს სურათი მივითვითებს იმდროინდელ საქართველოში თხილამურების პრაქტიკულად გამოყენების არც თუ ისე იშვიათ მოვლენაზე. ეს სურათი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია და შეუძლებელია არ გამოიწვიოს როგორც საერთოდ საზოგადოებრიობის, ისე სპორტსმენ - მოთხილამურეთა ინტერესი.

სურათზე გამოსახულია ქართველი კაცი, რომელსაც ფეხზე ამოუკრავს რკალიანი თხილამური და დათოვლილი ფერდობზე მიდის. მარცხენა ხელით მივივითებს ზეითი (მისივე), მხოლოდ სოფლისაკენ, ან კავკასიონის რომელიღაც ზეკარისაკენ). აქ ნაღვალად ვგრძნობთ სინამდვილეს, აზრი გვიკანახებთ, რომ მეთხილამურე სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიემართება. დასავლეთით ზღვაა, ხოლო სურათი აღმოსავლეთის მხრიდანაა ჩახატული. გარემო თოვლით იფარება (თერთ ფანტელები რიბიად სცივება). ცხადია, რომ ეს ყოველივე შავი ზღვის სანაპიროსთან შეკად ახლოს ხდება. ზღვის პირიორბტზე იალქნიანი ხონადლები დაცურავენ და სურათის შუაში ზღვისპირა ქალაქისა თუ ციხისმაგრიის ნაგებობანი მოჩანს.

ეს სურათი შეტყველებს იმაზე, რომ რკალისებური (საბიჯელი) თხილამური სამიმოსვლო საშუალება ყოფილა XVII საუკუნის საქართველოში. ეს იშვიათი დოკუმენტი უშუალოდ ცხოვრებიდანაა აღებული. შარდენის განსაკუთრებულად დაკვირვებულ თვალს არ გამოჰარვია იგი. ასე მოადღია ჩვენამდე ძველი საქართველოს ყოფის ერთმა ფაქტმა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვევიოთ ქართული სასვლელო

თხილამურების საწყისები და გარკვეული აზრი შევქმნათ იმაზე, თუ როგორი თანმიმდევრობით გაიკვლია გზა ადამიანმა თანამედროვე სასრილა, სპორტულ თხილამურამდე.

სულხან-საბა ორბელიანმა თავის უნიკალურ „სიტყვის კონაში“ მოგვცა იდენტური (შარდენის აღწერილ სურათთან შედარებით) განმარტება ამ თხილამურის არა-სა და დანიშნულებაზე. იგი ასე განმარტავს: „აკრული არს, ფერხთა დაკრუტენ დიდთა თოვლთა ზედასავე ლელად, რათა თოვლითა სიღრმესა არა ჩაიქრან“.

რა შესანიშნავი, გონებაშავილიური სიხუსტე, როგორი ლაკონიკობა და, ამვე დროს, ქართული ენის რაოდენი გამოხსაველობა და ძალაა ჩაქსოვილი განსაზღვრამში, ჯერ ერთი — სასვლელო თხილამური „გრკალი არს“ (ფორმაზე მივივითებს), მეორე — მას ფეხზე იკრავენ — „ფერხთა დიკურენ“, დაბოლოს გარკვეულია, თუ რისთვის — „დიდათ თოვლთა ზედასაველად, რათა თოვლთა სიღრმესა ჩაიქრან“, ე. ი. ადამიანმა სამიმოსვლო მანძილი თხილამურების დახმარებით ადვილად, შეუფერხებლად გაიაროს.

განა სასრილო, მოგრო თხილამურსაც, რომელიც ახლა განსაკუთრებით სპორტული თამაშებისას „ფერხთა არ დაიკურენ, დიდთა თოვლთა ზედასაველად, რათა თოვლთა სიღრმესა არა ჩაიქრან“? ასე რომ ძირითადი განსაზღვრება თხილამურისა (ფორმის მიუხედავად) ერთნაირად ექვრს და დაკანონებულია სულხან-საბას მეცნიერულ ფორმულირებამში. აქვე უნდა აღინიშნოს: როდესაც ჩვენს დღიწყს სასრილო თხილამურის გავრცელება, არავის უცვია მისთვის ეწოდებინა „Ski“ ან „Шки“ მას შერბა ხალხში გავრცელებული ქართული შესატყვისი — „თხილამური“, თუმცა იგი თავდაპირველად რკალი-სებრს გამოხატავდა.

ვიმედოვნებ, რომ ამ საკითხით დაინტერესებულნი ითავებენ საბას განმარტების შედარებას იმდროინდელ (XVII ს.) სხვა ხალხთა, გან-



გრელოს ნახატი — თხილამურზე შემდგარი ქართველი (ქ. შარდენის ატლასიდან)

საკუთრებით კი ჩრდილოეთის მკვიდრთა (ფინეთის, შვეციის, ნორვეგიის და რუსეთის) ლექსიკონებთან, გარეცვენ თუ საერთაშორისო ფონზე (იმავე ხანაში) როგორ იყო ფორმულირებული თხილამურის დანიშნულებისა და გამოყენების საკითხი.

ამრიგად, ქ. შარდენის მიერ შემოწმებული სურათი ქართველი მოთხილამურისა, შესრულებული XVII საუკუნის საქართველოში, და სულხან-საბა ორბელიანის განმარტება თხილამურის არსისა და მისი დანიშნულება-გამოყენების შესახებ (იმავე XVII საუკუნეში) იდენტურ ურთიერთობაშია. გასარკვევია, რამდენად ერთმანეთს, თუ განსხვავდება სხვა ხალხთა ფორმულირებანი.

ჩვენ, რასაკვირველია, ძალზე პირობითად დავუშვით ქან შარდენისა და სულხან-საბა ორბელიანის შეხვედრა. მაგრამ მოხდა ეს, თუ არ მოხდა, ერთი რამ ფაქტია: თხილამური — შარდენის ჩანახატი და „თხილამური“ — საბას განმარტებით გვიდასტურებენ ამ სახის მიმოსვლის საშუალებას ძველ საქართველოში.



გალაკტიონ ტაიიძე (დავით მშვიდის ფოტო)

ამ მხრივ აღსანიშნავია ისეთი ცნობილ ოსტატთა შემოქმედება, როგორც იყვნენ ნიკოლოზ საღარაძე, დავით მშვიძე და სხვები.

დავით მშვიძე, ჩემი და უპრეტენზიო მუშაკი იყო. მაღალი გემოვნება და მხატვრული ნიჭი იგრძნობა მის ფოტოებში, რომლებიც მუდამ გააზრებულია პლასტიკური გამომსახველობის თვალსაზრისით. პროფესიულ დახელოვნებას იგი უმაღლესად თავის სახელოვან მასწავლებელს ნიკოლოზ საღარაძეს, რომელთანაც მიიღო პირველი ნათლობა ფოტოგრაფიაში და რომლის ტრადიციის ერთგული, იგი მუდამ უარყოფდა შამლონსა და უბრაობას ფოტოგრაფიაში. მაღალი ოსტატობის ბეშედი აზის დ. მშვიდის ფოტოტექნიკურებზე: „ფრიალოსან მოსწავლეთა სიხარული“. „გამარჯვებულია დაბრუნება“ და სხვ.

მშვიდის ფოტონამუშევრებს მაღალ შეფასებას აძლევენ მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები. დიდი გალაკტიონი მოხიბული იყო დ. მშვიდის ფოტომუშოვნებით, აღნიშნავდა მისი ნამუშევრების ბუნებრიობას, უბრალოებას, მათი ავტორის მხატვრულ ალღოს. დავით მშვიდის მიერ გადაღებული ჩემი

დადიანის, ი. გრიშაშვილის და სხვათა ოსტატურად შესრულებული პორტრეტები.

თავისი ფოტოპორტრეტის შესახებ გლეხობის უთქვამს: „მართალია, იშვიათად ვიღებ სურათს, მაგრამ არცერთი სურათი ისე არ მიმწონებია, როგორც ჩვენი ნიჭიერი ოსტატის დ. მშვიდის მიერ გადაღებული. იგი განსხვავდება ბევრი ფოტოგრაფისაგან, რომელნიც მხოლოდ შტამპით საზრდოობენ“...

ამასვე აღნიშნავს პოეტი კოლაუ ნადირაძე.

მაღალ შეფასებას აძლევს დავით მშვიდის პორტრეტებს საკართველოს სახალხო პოეტი იოსებ გრიშაშვილიც. 1944 წელს გაზეთ „Заря Востока“-ში დაიბეჭდა ი. გრიშაშვილის პორტრეტი, რომელიც ძალიან მოსწონებია პოეტს და დ. მშვიდისათვის მიუწერია: „ჩემს სურათებს შორის მიყვარს ერთი სურათი, რომელიც შენს მიერ არის გადაღებული მეტად ორიგინალურად და როგორ გამეხარდა, რომ „Заря Востока“-ს რედაქციამ ეს სურათი დაბეჭდა ჩემი 40 წლის მოღვაწეობის აღნიშვნასთან დაკავშირებით“.

ახალი ქართული პოეზიის თვალსაჩინო ოსტატს ალთო მირჭულავას დავით მშვიძე მიაჩნდა „ქართული ფოტოხელოვნების ვირტუოზად“, რომელიც „ჭეშმარიტად დიდი საქმეს აკეთებს, უტოვებს, რა მომავალ თაობებს ჩვენი წარსულისა და აწმყოს ადამიანთა სახეებს. ამ მხრივ მას ბადალი არა ჰყავს“.

დ. მშვიძელთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ეურნალისტს იროდიონ ხანთაძეს, რომლის თქმით „დ. მშვიძე შემოქმედებითად უდგება მასალას, არღვევს შტამს, დახვეწილ ნორმებს და შაბლონებს, ახალი ხერხებით გადმოგვცემს ადამიანის პორტრეტს, რომელშიც აღბეჭდილია სულიერი მდგომარეობა და თავისებურება“. ერთ-ერთ თავის შთაბეჭდილებების ჩანაწერში ი. ხანთაძე მოხდენილად და ხატოვნად ამბობს: „პოეტი შვეტიცილო ფოტოგრაფიაში“.

დ. მშვიდის სახით საბჭოთა ფოტოხელოვნებას ჰყავდა მაღალი გემოვნების ფოტომუშოვნელი, რომლის ცხოვრება და შემოქმედება ჭეშმარიტი დაფასებისა და პოპულარიზების ღირსია.

ფოტოხელოვანი დავით მშვიძე

სიმონ არველაძე



არტი ფოტოსტატის ნამდვილი ხელოვანია. მაღალმხატვრული ფოტონაწარმოებით ისევე ხიბლავს და ესთეტიკურად ატკბობს ადამიანს, როგორც ლირიკული ლექსი ან ფერწერული ტილო.


ქართულ მწერლობას, ხელოვნებას, მეცნიერებას ქუთაისმა ბევრი ნიჭიერი ადამიანი მისცა. კარგი ტრადიციები აქვს ჩვენს ქალაქს ფოტოხელოვნებაშიც.

პორტრეტები პირდაპირ შედეგიათ — ამობრუნდა ქართული პოეზიის დიდოსტატი.

დ. მშვიძეს ახლო მეგობრობა ჰქონდა მწერლებთან, ხელოვნების მუშაკებთან, და ეს როდია შემთხვევითი. იგი ერთ დროს მსახიობობდა და ლექსებსაც წერდა. მისი ფოტოატელიე მდიდარია ფოტონამუშევრებით. მათ შორის აღსანიშნავია გალაკტიონის, გ. ლუნიძის, შ.



შავი ზღვის დასავლეთ ნაკირზე



არქიტექტორის ჩანაწერები

თენგიზ კვიციანი

პირა რივიერამ ამ უკანასკნელ დროს მოიხვეჭა. წერილში მოცემულია ის შთაბეჭდილებანი, რომელიც ბულგარეთში ხანმოკლე ყოფნისას მივიღეთ.




ბულგარეთი

ბარჩოვის

მეხანა...

ბასულ ზაფხულს საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა მოაწყო ქართველ არქიტექტორთა ჯგუფის საპეციალიზირებული ტურისტული მოგზაურობა ბულგარეთსა და რუმინეთში. ამ ორ ქვეყანაში ყოფნისას დროის უმეტესი ნაწილი დაეთმო ბულგარეთისა და რუმინეთის მავიზღისპირა კურორტების გაცნობას. ეს შემთხვევითი როლია. ჩვენ ინტერესს ამ ქვეყნების ზღვისპირა კურორტებისადმი ორი ფაქტორი განაპირობებდა: ბულგარეთის, რუმინეთისა და საქართველოს სანაპიროების კლიმატური მსგავსება და ის სახელი, რომელიც ბულგარეთისა და რუმინეთის „მავიზღის-

ეს ფრაზა ჩვენ ხშირად გვესმოდა. იგი სხვადასხვაგვარ საგზურებში, ნეონის რეკლამებში იკითხებოდა. მართლაც, ბულგარეთში ჩასვლისას თვალში გვეცმათ უცხოელი სტუმრების დიდი რაოდენობა. ბულგარეთის გზებზე დაჰქრის სხვადასხვა მარკის უცხოური ავტომანქანები. „ბალკანტურისტის“ სასტუმროებსა და რესტორნებში ერთმანეთს ფარავენ ჩეხური, გერმანული, პოლონური, რუსული, ფრანგული, რუმინული,



ახალი ოცული „ოცლა“ სოფიამში

ინგლისური სიტყვები. ყურადღება ტურიზმის განვითარებისადმი აქ დიდსა და მყარნივე იგრძნობა. 1970 წლისათვის ბულგარულს განზრახული აქვთ უცხოელ ტურისტთა რაოდენობა ერთ მილიონამდე გაზარდონ. თუ გაითვალისწინებთ, რომ ქვეყნის მოსახლეობა რვა მილიონს არ აღემატება, ეს საკმაოდ დიდი რიცხვია. ოფიციალური ცნობებით უკვე 1963 წელს ბულგარეთში ნახევარ მილიონამდე ტურისტმა იმოგზაურა.

ბულგარეთის ბუნება თავისი მრავალფეროვნებით საქართველოს მოგაგონებთ. საფხულში, როდესაც დაბლობში პაპანაქება სივება, მაღალ მწვერვალებზე თოვლი ბინავს. ბულგარულს უყვართ უნგრული იმტვან კლბაჩის სიტყვების მოყვანა: „ო! თუ დემამიწაზე შესაძლოა სამოთხის არსებობა, ასეთ სამოთხედ ბულგარეთი იქნებოდ“... ბულგარელთა აღტაცება თავისი ქვეყნის ბუნებით სასუფთველს მოკლებული როდია. ქვეყნის შედარებით მცირე ტერიტორიაზე (110 ათასი კვ. კმ.) გამჭვირვალე ტბებით მდიდარი, ხშირი ფოთლოვანი და წიწვიანი ტყეებით დაფარული, ამაყად აღმართული მთები ადგილს უთმობს ვრცელ დაბლობებს, რომელნიც თვალუწვდენელი ხილის ბაღებით, თამბაქოს პლანტაციებით და ვენახებით არის გასუბნული. განსაკუთრებით მთების ორი მასივი გამოიყოფა. ორივე მათგანს ჩვენ გავეცანიით მოგზაურობისას. სტარა პლანინა ან ბალკანი ბულგარეთის ტერიტორიას ორ — სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებად ჰყოფს, ხოლო მეორე — რილაროდოპის მასივი გავრცელებულია ბულგარეთის სამხრეთ ნაწილში. სტარა-პლანინას ის ნაწილი, რომლის გავლა ჩვენ მოგვიხდა სოფიამ ჩასვლისას, კავკასიონს მოგაგონებთ ფანტასტიკურად დანატოტებული ზედაპირით. მიუვლი ტყეებით და მსაცირი ხელებით. ფიჭვით, მუხით, წიფეებით დაფარული, თვალწარმატე ხეობებით დასერილი რილაროდოპის მთებში — კი, რომელთაც აკვარელური, რბილი ფერები გადაკრავს, ხშირად ჩვენს ბორჯომის ხეობასთან იწვევდა ასოციაციას. მთა რილა ველაზე მაღალია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და მისი მწვერვალი ამაყად კიაფობს ცის ფონზე. ისევე როგორც ჩვენში „ვახსხვიც“, ბულგარეთში სახსელწოდება „რილა“ დაიპყრობა მრავალმა სასტუმრომ, კაფემ, რესტორანმა, ფირმამ, სხვადასხვა სახის ნაწარმმა.

ჩვენ სიგრძივ გადასვრეთ ზემო-ფრაკიის დაბლობში ერთ-ერთი ვრცელთაგანი ბულგარეთში, რომელსაც მანქანებისა წყლის მთავარი არტერია — მდინარე მარცა. თვალწინ თვალუწვდენელი ბრინჯის მიწები, თამბაქოს პლანტაციები, შესანიშნავი ხილის ბაღები და ბაღები გადის. დოვლათით სასვე დაბლობი მჭიდროდ არის დასახლებული.

მრავალი თვალწარმატე კუბზე შავი ზღვის ნაპირზე, უძველესი ქალაქები და კულტურის ძეგლები ექსპრესიების საინტერესო ობიექტია. სანაპირო ზოლის უმეტესი ნაწილი ყვითელი, სუფთა ქვიშით დაფარულ შესანიშნავ პლაჟს წარმოადგენს. ბულგარეთის შავიზღვისპირა ზოლი დამსვენებლებსა და ტურისტებს ყურძნის, გემრიელი ხილის და თევზის სიუხვითაც იზიდავს.

მარამ ბულგარეთში ჩამოსულ ტურისტს ელის არა მარტო ბუნების მშვენიერება, მზით აესილი ხილი და ოქროსფერი პლანტაციები. აქ ბევრი რამ არის საინტერესო იმათთვის, ვისაც უყვარს ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნება, არქიტექტურა. აქ თავისი კვალი დატოვა ბერძნულმა, რომულმა, ბიზანტიურმა კულტურამ. მრავალი საინტერესო ძეგლი შემორჩა ფრეაკელთა ძლიერი სახელმწიფოს დროიდან (ეს სახელმწიფო აღდგენილი ბულგარეთის ტერიტორიაზე დაარსდა მეორე ათასწლეულში ჩვენს ერამდე). შავი ზღვის პირას ძველმა ელინებმა მრავალი დასახლება შექმნეს — აპოლონია, ოდესოსი და სხვა. რამდენიმე ათეულ ქალაქთა და ციხე-სიმაგრეთა ნანგრევები შემორჩენილა, რომელთა ბატონობის დროიდან, მათ შორის ულკია, ნიკოპოლისი, აბრიტუსი. შუასაუკუნეების წარმოდგენილია სლავონური კულტურის ძეგლებით. ანტიკური შემნობათა ნანგრევები, ფრეაკელთა სამარხები, სხვადასხვა დროის ხელოვნების ნაწარმოებები — მოზაიკა, ფრესკა, კერამიკა, ყოველგვ ეს ბულგარეთს თავისებურ მუხუშმად წარმოგიდგენს.

ტურიზმის განვითარებისათვის ბულგარეთში დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა სახის — ბალნეოლოგიური, კლიმატური (მთის, ზღვის), ტალახის და შერეული სახის კურორტების სიუხვს. სამასი მინერალური წყარო თავმოყრილია ასამდე რაიონში. მათ ბაზაზე შექმნილია ორმოცამდე ბალნეოლოგიური კურორტი. ქართული „ბორჯომით“ განებივრებული ჩვენ იზებათად თუ მოვეწონს სხვა მინერალური წყალი. უნდა ითქვას, რომ ბულგარულს მინერალური წყლის რამდენიმე შესანიშნავი ნაირსახეობა აქვთ. მათ შორის განსაკუთრებით დამკვიდრებულია მინერალური წყალი „გორნია ბანია“, რომელსაც ყველა ჩვენთაგანი საკმაოდ დიდი დოზებით ღებულობდა.

ბულგარეთის ტერიტორია დაფარულია შესანიშნავი მარაგების ხშირი ტყებით. აშენდა და შენდება თანამედროვე, კეთილმოწყობილი კუმინები, ბუნების მოსამართი სადგურები. სასტუმროებისა და კემპინგების რიცხვი განუზრუნვად იზრდება. ქვეყნის სიამაყეს წარმოადგენს დიდი ფემენებელური სასტუმროები არა მარტო ზღვის ნაპირზე — მთებშიც, დაბლობშიც.

ზრუნვა ავტოტურისტზე განსაკუთრებით გვეყვამთ თვალში. ამაში ცნადად დაერწმუნდით, მით უმეტეს, რომ ბულგარეთში შეიდა კალიმეტრზე მეტი ბანქანი დაფუარეთ.



ბაზა
ზღვისკაენ

მოგზაურობა ზღვისკაენ ჩვენ დაიწყეთ ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში, სადაც რუმინეთზე გავლით მატარებელმა ჩამოვიყვანა.

სოფია ერთ-ერთი უძველეს ქალაქთაგანია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, იგი მთებით შექმნილ განიერ ქვაბულშია აგებული. ქალაქის არქიტექტურა თითქმის ყოველთვის გარშემორტყმულ მთების ფონზე იკითხება. განსაკუთრებით მკვეთრად გამოიყოფა მთის მსხვიე ვიტოშა სამხრეთით და ლილინის მალღობი დასავლეთით. უნდა ითქვას, რომ ვიტოშა ისევე განუყოფელი ვაჰდა, თითქმის სიმბოლოდ იქცა სოფიაში, როგორც თბილისისათვის მთაწმინდა. ვიტოშის ფერდობები დასასვენებლად არის გამოყენებული. ზაფხულობით აქ სივრცის ეძებენ, ხოლო ზამთარში სათიხლამურო სპორტს მისდევენ. ვიტოშაზე ორი საბაგირო-სამგზავრო გზაა მიწყობილი. მთის ქანობებზე ბალ-პარკები და მრავალი თანამედროვე რესტორანი, ოტელი, ტურისტული ბაზა და დასასვენებელი სახლია.

ვიტოშაზე ვხვთხე ე. წ. „ქვის მდინარე“ — ასეთ საცურებას ვერსად სხვაგან ვერ ნახავთ. ერთობის ეს ქმნილება ბუნებრივი ფენომენია. მდინარის კალაპოტი ამოჭედილია გრანიტისა და სიენიტის უმველებელი ლოდებით, რომელნიც წყალსა და ქარს დროთა განმავლობაში გაუსწორებია და გაუღლინავეს. უნდა ითქვას, რომ ბულგარელები საკმაოდ გონიერად აღადგინებენ ბუნებრივ სიმდიდრეს. კეთილმოწყობილი ვილადები, ბუნების წიაღში აგებული რესტორნები, კაფეები და სხვ. იზიდავენ არა მარტო ტურისტებს. ჩვენ გადაჭარბებით გვიჩვენა ბულგარელი მეგობრის განცხადება, რომ კვირა დღეს თითქმის „მთელი სოფია“ ქალაქგარეთ იხიზნებათ. უახლოეს კვირადღეს ჩვენ დაკრწმუნდით, რომ ვცდებოდით. ქალაქი კვირა დღეს ისე გამოიყურებოდა, როგორც ჩვენი თბილისის ქუჩები დიდი ფეხბურთის დროს. საეჭრო დაწესებულებანი აქ კვირის მხოლოდ დღის 12 სათამდე მუშაობს. დასვენების დღეს „მთელი ქალაქი“ ბუნებას, საცურაო აუზებს მიაშურებს.

დღევანდელი სოფიას დაგვიმარებას საფუძვლად უდევს ქუჩების რადიალურ-რგოლური ქსელი, მკვეთრად გამოყოფილი ცენტრალური ნაწილით. აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მისი სივრცე 15, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 10 კმ-ა. გარეუბნებში უკანასკნელ წლებში წარმოიშვა ახალი საცხოვრებელი რაიონები, სადაც ზუსტარბოთიანი სახლები კომპურა ნაკვობებით არის შენაცვლებული. მშენებლობა ძირითადად მონოლითური რკინაბეტონის კარკასის აგურით შევსებით სწარმოებს. ანაკრები კონსტრუქციები ბულგარეთში ეს-ეს არის ინერგება. პლოდევის საპროექტო ორგანიზაციაში ყოფნისას ჩვენ გავარკვეით, რომ დღეს ბულგარელ არქიტექტორებს არ გააჩნიათ დამტკიცებული ტიპობრივი პროექტები. არებობს ე. წ. „დირექტიული მითითებანი“, სადაც განსაზ-

ღურულია მიახლოებითი ლირებულება და საცხოვრებელი ფართობების ნორმები ოჯახის სხვადასხვა შემადგენლობაზე. ფართობების დიდ ფარგლებში მერყეობს და ჩვენში მიღებულ ნორმებზე მეტია. აქ არ არის შექმნილი ისეთი ვითარება, როდესაც ერთიდაიგივე (თუნდაც დრომოჭმული) ტიპობრივი პროექტით ხუთი და მეტი წლის განმავლობაში შენდება ქალაქის უბნები.

სოფიის ცენტრალური ნაწილი ძირითადად საზოგადოებრივი შენობებით არის გაშენებული. ახალ ნაკვობებში გამოირჩევა ოტელი „როლა“. ათსართულიანი სასტუმრო აერული ლოჯების მწკრივით გამოდის მოედანზე და სამხრეთული შენობის მეტად დამაჯერებელ ნიმუშს წარმოადგენს. ჩვენი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე სადემონსტრაციო დარბაზმა ე. წ. „უნივერსიადის სახლმა“. იგი ჩვენ სპორტის სასახლესთან შედარებით მცირეა — 2500 მაყურებელზე გათვალისწინებული. ყურადღებას იპყრობს შიდა სივრცის არქიტექტურა, სანაოი არმატურისა და ფუნის მეტად ეფექტური გამოყენება. შობაგუდილებათა წიგნში, რომელიც ჩვენ შემოგვთავაზეს, ქართულ არქიტექტურათა სახელეთ ჩანაწერი გააკეთა თბილისის სპორტის სასახლის ერთ-ერთმა ავტორთაგანმა ლადო მესხიშვილმა. სოფიაში, ისევე როგორც სხვა ქალაქებში ჩვენი ყურადღება მიიპყრო მოსაპირკეთებელი სამუშაოების მაღალმა ხარისხმა.

ძველი ძეგლებიდან ქალაქის არაერთგზის დარბიჯისა და თურქთა ხუთსაუკუნეანი ბატონობის შედეგად შემორჩენილია მხოლოდ რამოდენიმე საყურადღებო ნაგებობა. წმინდა გიორგის იკლესია, რომელიც ქალაქის ცენტრალურ ნაწილშია. სოფიის უძველესი ძეგლია. აქ შეიხებ საუკუნეში რომაული ტიპების იყო. შემდგომში შენობა ეკლესიად გადაკეთდა. შუასაუკუნეებში იკლესიის კედლები ფრისკებით მოხატეს. დღეს კედლებზე ფრისკების სამი ფენაა შემორჩენილი.

რომაელთა ბატონობის ხანიდან აგრეთვე შემორჩა „რომაული ქუჩა“, რომელიც დაკარგულია დიდი ქვის ფოთლებით და რომაული კედლები კომუნიონი.

წმინდა სოფიის ეკლესია აგრეთვე ქალაქის ცენტრალურ ნაწილშია განლაგებული. იგი ბიზანტიური ეპოქის მნიშვნელოვანი ძეგლია.

უნივერსიადის სასახლის ფოფის ნაწილი





ამკვარ რესტორანებს შეზღუდებით ეტროვას შთაბე სოფლისათან

ბულგარეთის დედაქალაქის დღევანდელი სახელი სწორედ ამ გულისხმანდ მოდის.

სოფიაში ყოფნის მესამე დღეს ჩვენი ჯგუფი ავტობანქანით აღმოსავლეთით — შავი ზღვისაკენ გაემგზავრა. წინ დიდი გზა და საინტერესო შთაბეჭდილებები გველოდა.

გზის დასაწყისი გადიოდა მდინარე ისკირის თვალწარმტაც ხეობაში, რომელიც განთქმულია მინერალური წყაროებით. მანქანის ფანჯრიდან მოსრანს ავარაკები, დასასვენებელი სახლები, საყურაო ბაზები, სპორტული ბანქები, რესტორნები. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ახლახანს აგებულმა რესტორან „ლემბედის“ შენობამ. სოფიიდან 38 კმ-ის მანძილზე გზა გადის წყალსაცავ „ისკირის“ ნაპირზე. რომელიც 13 კილომეტრზეა გადაჭიმული. შარაგზა კვეთს სამოთხის ხეობას, რომელიც ზღვის დონიდან 950 მეტრზეა და ჩვენ რილას ძირთან ვართ. აქ ქ. სამოთხის გავდივართ და სოფიიდან 70 კმ-ის მანძილზე მივაღებთ ბულგარეთის ერთ-ერთ შესანიშნავ მთიან კურორტს — ბორჯოცს, რომელიც რილას ჩრდილოეთ ფერდობზე ასწლიან ფიჭვნარშია განლაგებული. ბორჯოცში ცოტა ხნით ვჩერდებით. იგი ძალზე მოგაგონებს ჩვენს ბაკურაანს, თუმცა უნდა ითქვას — გაცილებით კეთილმოწყობილია. აქ ბევრი დასასვენებელი სახლია. ყურადღებას იპყრობს „ბალკანტურისტის“ კომფორტაბელური სასტუმროები. როგორც გადმოგვცეს, ბორჯოცის სასამართო სპორტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრია.

შარაგზა ქვეითკენ ეშვება. ჩვენ წინ იშლება ბულგარეთის უმდიდრესი კუთხე — ფრაკის დაბლობი, საიდანაც, გამოსვდა ლევენდარული გმირი სპარტაკი, ძველი რომის მონათა აჯანყების ორგანიზატორი და ბელადი. დაბლობში მჭირდოდ განლაგებულია ბარაკით სავსე სოფლები და ქალაქები. შარაგზის ორთვე მზარეს ბორცვების სილუეტები მოსრანს. ეს ფრაკიელთა უძველესი სამარხებია. უკვე ბინდვდებით, როდესაც ფრაკის დაბლობის შუაგულში მკვეთრად ამოჭრწილ ხუთ გორაკზე განლაგებულ ქალაქ პლოვდივს მივუახლოვდით.

პლოვდივში — სიდიდით ბულგარეთის მეორე ქალაქში, მეტად თავისებურად განლაგებულ შიპაოვან რელიეფზე ორი დამე გაუთარეთ. ქალაქის ახალშენები უპირისპირდები მის

ძველ ნაწილს — ჭეაფნილიან ვიწრო ქუჩებს, ორ ფა.სკმ-სართულიანი სახლებით, ბრჯენებზე გადმოხედული, აგებენეთა და ერკერებით. ის გარემოება, რომ ფეხი შევდგით ბულგარეთის ერთ-ერთ უძველეს ქალაქში ჩვენ გავიგეთ პლოვდივში ჩასვლისთანავე, თუმცა შემოვივადამდა და ქალაქის დოვალთერება დილისათვის გადაიდო. ჩვენი მანქანა მიადგა „ბალკანტურისტის“ კომფორტაბელურ ახალ სასტუმროს მეტად ძველ რადი დასახლებით — „ტრიმოთციუმი“. ეს პლოვდივის ძველი სახელია, რომელსაც იგი ატარებდა რომაელთა ბატონობის ხანაში. ამ პერიოდში იგი სამ მადლობზე იყო განლაგებული. დღევანდელი პლოვდივი კი მხვილი სამრეწველო და სავაჭრო ცენტრია. ქალაქზე გადის საერთაშორისო რკინიგზის ხაზი ვენა — ბელგრადი — სოფია — სტამბულ. იგი განთქმულია თამბაქოს ფაბრიკებით, რომლებიც საუკეთესო ბულგარულ სივარეტებს უშვებს. აქ ხილის გადამამუშავებელი რამდენიმე ფაბრიკა და მსუბუქი მრეწველობის სხვა საწარმოებებია. პლოვდივის სახელი გაუთქვა საერთაშორისო მახრობამ, რომელიც აქ ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა. მდინარე მარიცას მარცხენა ნაპირის ვრცელ ტერიტორიაზე (40 კა) გაშლილია ბაზრობის სავანებო ქალაქი უამრავი პავილიონებით, რომელთა საერთო ფართი 150 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს.

პლოვდივში ერთდღიანი შესვენების შემდეგ ჩვენი მანქანა კვლავ აღმოსავლეთისაკენ — შავი ზღვისაკენ დიდარა.



ბალზარული რიზიპია

ბულგარეთის შავიზღვისპირა კურორტებზე გარკვეული წარმოდგენა ჩვენ უკვე გქონდა კინოფილმებისა და ფოტოსურათების მეშვეობით. მაგრამ იმან, რაც ვნახეთ, ყოველგვარ მილოდინს გადააჭარბა.

საკურორტო მშენებლობა ბულგარეთში არც თუ დიდი ხნის წინათ დაიწყო. ახლა კი აქ შექმნილია საუკეთესო საერთაშორისო კურორტები. მათგან უმნიშვნელოვანესი — „ოქროს კვიშები“ და „მზიური ნაპირი“ არა მარტო ბულგარული, მსოფლიო არქიტექტურის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს.

ბულგარეთის შავიზღვისპირა კურორტები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ქ. ვარნა, კურორტებით „დრუჟა“ და „ზღაღღი პიასიცი“ (ოქროს კვიშები) და მეორე ჯგუფი — „სლინჩე ბრიავ“ (მზიური ნაპირი) ქალაქ-მუზეუმით — ნესებერთით.

ვარნა ბულგარეთის უმნიშვნელოვანესი ნავსადგურია შვედზე. მაგრამ მას სახელი გაუთქვა ახალმა კურორტებმა, რომლებიც მის ჩრდილოეთით გაშენდა. ქ. ვარნასთან ჩვიდმე-

ტი კილომეტრის დამორებით გამოილია საკურორტო კომპლექსი „ოქროს ქვიშები“. მისი ტერიტორია 250 ჰექტარს შეადგენს. კურორტი გაშენებულია მუხისა და ცაცხვის ტყეებში, ზალეხსა და ვენახებში. ორასმეტრიანი სივანის პლიაჟი, დაფარული მტკად წყაროლი ოქროსფერი ქვიშით, სამახვევარ კილომეტრზეა გაშლილი. კომპლექსი ცამეტ ათას დამსვენებელზეა გათვლილი. „ოქროს ქვიშების“ ფუნქციონალური ზონირება უზრუნველყოფს მისი ცალკეული ნაწილების მართებული ურთიერთკავშირის მათი დანიშნულების მიხედვით. მკვერად არის გამოყოფილი სამი ზონა: ძირითადი შენობების ჯგუფი, სამურენო ზონა და მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი ზონა.

ძირითადი შენობების ზონა მთის ძირას, ტყის ტერასებზეა გაშენებული. იგი მოიცავს ოცდათხუთმეტ კომფორტაბელურ ოტელს, ბუნგალოს ტიპის ხუთას ოც აგარაკს, რესტორნებს ექვსს და ათასორას ადგილზე, კაფეებს, ბარებს, მაღაზიებს, სასაფხულო თეატრს ათას მაყურებელზე. საცხოვრებელ კორპუსებში — ოტელებში განლაგებულია მხოლოდ დამსვენებელი ნომრები. სასადილო — რესტორნები და სხვა სახის მომსახურე სათავსები ცალკე შენობაშია გამოყოფილი. ზღვისპირა სექტორში პლიაჟია სპორტული ბაქნებით, ნავეების ელინგით, ბავშვებისათვის განკუთვნილი, ზღვის წყლით გაყვანილი აუზი და სხვა ნავეობებით.

წიფლის ტყეში ავტორუნიტივისათვის განკუთვნილი კემპინგისაა გაშენებული. მცირე აგარაკები შეგუდებულია მომსახურების ცენტრის გარშემო, რომელიც შედგება რესტორანი-სა და კლუბისაგან.

სამურენო ზონაში, რომელიც ძირითად ზონისაგან მშვენივრით არის გამოყოფილი, განლაგებულია სამრეცხაო, გაარაკები, საწყობები, მოსამზადებელი ცეხები, დამხმარე მურენობა.

კომპლექსის ფუნქციონალური და არქიტექტურულ-გეგმარებითი ორგანიზაციის დასაბამს ზღვა და პლიაჟი წარმოადგენს. მის ცენტრში მოთავსებულია რესტორანი „კაზინო“ ათასორას დასაჯდომ ადგილზე. მისგან ზღვისაყენ ეშვება პარალელი, უხვად გამწვანებული ესპლანადა, კასკადებითა და აუზებით. „კაზინოს“ გვერდით აგებულია თორმეტსართულიანი ოტელი „ასტორია“ ბართი. ეს შენობა სასოვადგომბრები ცენტრის დომინანტია.

ბულგარული არქიტექტურის შემოხარბი მიღწევად „მზიური ნაპირის“ („სლონიჩე ბრიაკის“) საკურორტო კომპლექსი უნდა ჩაითვალოს. კურორტის მშენებლობა 1958 წელს დაიწყო. ათი თვის განმავლობაში აშენდა და ექსპლოატაციაში გადაეცა ოცდაათი სასტუმრო. დღეს „მზიური ნაპირი“ მაღალი კლასის საერთაშორისო კურორტია 7500 დამსვენებელზე. როგორც გვიხარბს, უახლოეს ორ წელიწადში დამსვენებელთა რიცხვი (ერთდროულად) თხუთმეტი ათასს მიაღწევს, ხუთასიანი მომსახურე პერსონალით.

კომპლექსი ზღვის ყურეს სანაპირო ზოლის შუა ნაწილშია განლაგებული. სამხრეთიდან მას ესაზღვრება „ქალაქი ზღვაში“ — ნესებიანი, ზღვაში შეჭრილი ნახევარკუნძული უფრო კარგულს ჰგავს, რომელიც ნაპირს ათი მეტრის სივანისა და საშასი მეტრის სიგრძის ზოლით უკავშირდება. უძველესი სიმაგრე, რომელიც ბერძნებმა ააშენეს, დღეს ჭალაქ-მურენობად

არის გადაქცეული. იგი მდიდარია ბიზანტიური კულტურის ძეგლებით.

მზიური ნაპირის ბუნება მნიშვნელოვანდ გასწავლებლა „ოქროს ქვიშებისგან“. აქ ტერიტორია წარმოადგენს დაბლობს, რომელიც პლიაჟის ზოლში დიუნებში გადადის. კურორტის კომპოზიციურ საწყისს წარმოადგენს ბულგარი, რომლის გასწვრივ მრავალი ოტელი და რესტორანია განლაგებული, ბულგარისა და კურორტზე შესასვლელი ხეივანის გადაკვეთზე სასოვადგომბრები ცენტრშია შექმნილი. აქ აშენებულია თოხმეტი-სართულიანი ოტელი „გლობუსი“ და ინტერნაციონალური კლუბის „კაზინოს“ შენობა. მრავალრიცხოვანი სასტუმროები განლაგებულია პარკში და ძირითადად ზღვაზეა ორიენტირებული. კომპლექსისათვის დამახასიათებელია დაბალი განაშენიანება, შეიღდასართულიანი ოტელების რამდენიმე აქცენტით. „მზიური ნაპირი“ შავიზღვისპირა სხვა თანამდროვე კურორტებისაგან სწორედ დაბალი სართულიანობით გამოირჩევა. კომპლექსი მოიცავს სხვადასხვა, ძირითადად მცირე ტევადობის — ოციდან ასამდე ადგილიანი ოტელებს და მარტივი კონსტრუქციის ბუნგალოებს თოხ-ათ საწოლ ადგილზე. მოკლედროიანი შესვენებისათვის ავტომობილებისა და საავტომობილო აგებულია ოტელებისა და რესტორნების საგანგებო ჯგუფი. აქვეა მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი კომპლექსი ხუთი ათას კაცზე და გარაკები. უფრო ჩრდილოეთით ცალკეა გამოყოფილი სამურენო ცენტრი და დამხმარე მურენობა.

ბულგარელმა არქიტექტორებმა დასასვენებელი შენობებ-

„ოქროს ქვიშები“. სასტუმრო „ასტორია“





ბის ნაგებობების მრავალი ტიპი შექმნეს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს შესანიშნავი სასტუმროები, რომელნიც მეტად მოკლე დროში აშენდა და საკურორტო კომპლექსების განაშენიანების ძირითად ბირთვს წარმოადგენს. ბულგარეთის კურორტებზე აშენებული სასტუმროების ნომინალატურა მრავალფეროვანია. აღსანიშნავია ის განყოფილება, რომ თუმცა სასტუმროების კომპოზიციური სქემები განსხვავებულია, საცხოვრებელი ნომრების ტიპების რიცხვი — კი განსაზღვრულია. ამასთან მეტად თავისებურია ცალკეული შენობების არქიტექტურა.

დიდი გავრცელება ჰპოვა ერთსართულიანმა ოტელებმა და ბუნჯალოს ტიპის აგარაკებმა, რომლებიც ჩვეულებრივ ტყეპარკშია განლაგებული. ოტელების სართულიანობა განისაზღვრება ერთი, ორი, სამი, ოთხი, შვიდი, თორმეტი და თოთხმეტი სართულით. მრავალსართულიანი ოტელი ჯერჯერობით მხოლოდ ორი — სამია ყოველ კურორტზე. ორსართულიანი შენობები ცალმხრივი ორიენტაციით (20 — 80 საწოლზე) შენდება ღია კიბეებით და ასეთივე გაღვრებით კორიდორის ნაცვლად. სამსართულიანი სასტუმროები აშენებულია როგორც ცალმხრივი, ასევე ორმხრივი ორიენტაციით. უმეტეს შემთხვევაში ასეთ შენობებში სპორალებისტორი კიბეები შენობის კიდურებშია განლაგებული. უკანასკნელი ხანისათვის მეტად დამახასიათებელია ოთხსართულიანი ოტელების მშენებლობა 120 — 150 საწოლზე. ისინი წარმოადგენს კომპაქტურ შენობებს ნომრების ორმხრივი განლაგებით. თითოეული ნომერი ორ საწოლზეა გათვალისწინებული. შედარებით იშვიათად

აშენებენ შედარებულიან სასტუმროებს მათი სარეკონსტრუქციო როლის გამო, ვინაიდან აუცილებელი ხდება ოტელების განვალისწინება და დამატებითი კიბის უკრფლის ამოყვანა. ასეთ ოტელებში იზრდება საერთო დანიშნულების სათავსების რიცხვი. თორმეტ და თოთხმეტ სართულიანი სასტუმროები რომლებიც წლის განმავლობაში შეუძობს, 250-300 საწოლზეა გათვალისწინებული. პირველ სართულზე განლაგებულია რესტორანი, ბარი, კოლუბი.


სხვადასხვა სახის და მოცულობის შენობების გამოყენება მეტად აძლიერებს და მრავალფეროვანს ხდის განაშენიანების სილუეტს.

ჩვენ მოვიხილავთ სხვადასხვა ტიპის ოტელებში გაჩენება და მრავალი სხვა სასტუმროს დათვალადობა. ჩვენს უკრადლებას იბჟყოფდა სასტუმროს ძირითადი ელემენტი — საცხოვრებელი ნომერი. ერთოთახიანი ნომრების უმეტესობის განაგებრებულია 1—2 საწოლზე. იშვიათია სამსაწოლიანი ნომერი. ერთოთახიანი ნომერი შედგება 12 კვ. მ. საწოლოვე ზედი თოახის, ტალანის, ჩაშენებული კარადისა და შეთავსებული სანიტარული კვანძისაგან. სანიტარული კვანძი, როგორც წესი, ყოველ ნომერს გააჩნია (გამოწავლის შეადგენს ერთსართულიანი და ბუნჯალოს ტიპის სასტუმროები, სადაც სანიტარული კვანძი ცალკეა გამოქვანილი ან კორპუსის კიდურშია თავმოყრილი). ნომრის ფართი სანიტარულ კვანძთან ერთად 21 — 22 კვ. მ.—ს შეადგენს. ამასთან, ყოველ ნომერს წინ ღრმა ლოჯია აქვს. მეტად რაციონალურად არის გამოყენებული ავეჯი. გემოვნებით არის დამუშავებული ინტერიერის კედლის გვერდებით შერჩეული ფერი და ფაქტურა, თანამედროვე სანათი არმატურა, ლამაზი დეკორატიული ფარდები და ხალიჩები, სადაც თანამედროვე და ტრადიციული ორნამენტის მსხვილი ფერადი ლაქებით არის მოცემული, მეტად ვეფეტურ კოლორიტს ქმნის. საერთოდ შესაშინვეია, რომ ბულგარელი არქიტექტორები დიდ უკრადლებას უთმობენ კეთილმოწყობასა და კომფორტს.

ნაგებობათა ჯგუფის მთავარ შენობას რესტორანი წარმოადგენს, რომელიც საშუალოდ 700 ადგილზეა გათვალისწინებული. ასეთი რესტორანი რეკლემბრივ სამ-ოთხ ოტელს ემსახურება, 300—400 მეტრისანი მომსახურების რადიუსით. როგორც წესი, რესტორნის სასადილო დარბაზები ზღვისკენ არის მიმართული. რესტორნების დიდი რიცხვი, მათი სიამაღლე ოტელებთან და პლიათთან მეტად „უწყობს ხელს დამსვენებულთა სწრაფ მომსახურებას. „მზიურ ნაპირზე“ რვა დიდი რესტორანი, რამდენიმე ბარი და საკონდიტრია. ყოველ რესტორანს თავისი დამასახილებელი კომპოზიციური წყობა გააჩნია. რესტორნები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება რესტორნები, რომლებიც შენდება ღია ან ნახევრად ღია ტერასების გარკვეულ სისტემაში გაერთიანებით. მაგალითად „მზიურ ნაპირზე“ ასეთ რესტორნებს მიეკუთვნება „კაზინო“ (1000 ადგილზე), „გლოზუში“, „ნეპტუნი“ და სხვები. მეორე ჯგუფი გამიზნულია მომხმარებელთა ყოველ ამინდში მომსახურებისათვის და ძირითადად დახურული დარბაზების ჯგუფისგან შედგება (მაგალითად „გლოზუში“, „დეუნია“, „პალმა“ იმავე მზიურ ნაპირზე). რესტორანის კომპოზიციური წყობის საფუძველს ღია და დახურული ტერასების,

„ტორის ქვიშები“. სასტუმრო „გლოზუში“ თბრთმეტსართულიანი შენობა





ვლადიმერ მაიაკოვსკის გარდაცვალებიდან ერთი კვირის შემდეგ, 1930 წლის 21 აპრილს, მოსკოვის პირველ სახელმწიფო ცირკში დაიდგა მისი გმირული მელომიმა, რომელიც დაწერილი იყო დიდი ნოვატორის ხელით. დადგმას ეწოდებოდა „მოსკოვი იწვის (1905 წელი)“. ახე შეცვალა მან სათაური თავისი საცირკო ნაწარმოებისა „1905 წელი“. თანის განსაზღვრისას მაიაკოვსკიმ მას ჯერ „პანტომიმა-ფერია“ დაარქვა, შემდეგ კი „გმირული მელომიმა“.

მელომიმა მიძღვნილი იყო რუსეთის პირველი რევოლუ-

ციის ოცდახუთი წლისთავისადმი. მასში პოეტმა უხვად გამოიყენა 1905 წლის რევოლუციისთან დაკავშირებული სხვადასხვა მასალა და დოკუმენტი. მათ შორის იმ პერიოდის სატირული ნაწარმოებები, სიმღერები, საკუთარი ნაწარმოებებიდან (პოემა „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“. „ოცდახუთათასეულა მარში“, „დამკვეთი ბრიგადების მარში“) თავისებურად გადაკეთებული სტიქიონები და სხვ.

ეს საცირკო წარმოდგენა თავის დროზე მეც ვნახე მოსკოვის ცირკში და სამუდამოდ დამამახსოვრდა. ხელოვნების ამ დარგში უკეთესი რამ დღემდე არ მინახავს. აქ არ იყო ნაკუწ-ნაკუწ მოცემული, ერთი მეორისაგან მოწყვეტილი საცირკო გამოსვლების გაფანტული მარცვლები. მაიაკოვსკის გმირული მელომიმა სრულიად ახალი სახის, უნიკალური საცირკო წარმოდგენა იყო.

ჩვენ აქ რამდენჯერმე ვახსენეთ სიტყვა „მელომიმა“. რას ნიშნავს იგი? ამ სიტყვის პირველი ნაწილი დეკამერბულია მელოდიასთან, სიმღერასთან. მეორე ნაწილი კი — მიმი ანუ მიმოსი, ანტიკური თეატრის ელემენტი. მასმასადამე, მელომიმა არის წარმოდგენა სიმღერებით. მიმებს ეძახდნენ აგრეთვე მოხეტიალე მსახიობებსაც, ძველ საბერძნეთში და რომში მიმი ეწოდებოდა სატირულ სანახაობას, რომელიც უადრესად პოპულარული იყო ხალხში. ეს ელემენტი ძალზე ახლო იდგა ყოველდღიურ ცხოვრებასთან. რომაული მიმი ეხმარებოდა ხალხის საჭირობათო საკითხებს, პოლიტიკურ ამბებს და ხშირად თავს ესხმოდა მაღალი წოდების წარმომადგენლებსა და იმპერატორებსაც. შემდგომ ეს სატირული სცენები უფრო დიდ პიესებად იქცა, სადაც ძალზე გაიზარდა მოქმედ პირობა რაოდენობა. ლექსის გვერდით მიმებში ეღვრდა პროზაული ტექსტი, აქვე გაისმოდა არიები, მყურებულს ხიბლავდა ცეკვები, აკრობატების მხიარული ნომრები და სხვადასხვაგვარი ეფექტური სცენები. პანტომიმა კი ფერეიული ხასიათის სა-



ცირკო წარმოდგენა, რომელიც შეიცავს ერთი სიუჟეტით შეკრულ ცალკეულ საინტერესო ნორმებს. ცნობილია აგრეთვე წყლის პანტომიმა. მის განსახორციელებლად ცირკის არენას წყლით სავსე აუზად გადააკეთებენ. ასე მოხდა მაიაკოვსკის გმირული მემორიალის დადგმის დროსაც.

ლიტერატურული დღევანდებში მოვითხოვებ, რომ მაიაკოვსკიმ თავის გმირულ მემორიალს უწოდო აგრეთვე „პიესა ცირკისათვის“. 1930 წლის 23 იანვარს მან ხელმოკრულება დაუთმო სახელმწიფო ცირკების ცენტრალურ სამმართველოს პანტომიმა-ოფისს, რომლის ჩაბარების ვადა 20 თებერვალი იყო. სწორედ 20 თებერვალს მაიაკოვსკიმ წაიკითხა „მოსკოვი იწვის“ (1905 წელი)“ სახელმწიფო ცირკების ცენტრალური სამმართველოს სამხატვრო-პოლიტიკური საბჭოს სხდომაზე. საბჭომ მიიღო ნაწარმოები მოსკოვის პირველი სახელმწიფო ცირკში დასადგმელად. 28 თებერვალს მაიაკოვსკიმ კვლავ წაიკითხა თავისი მემორიალი ამავე საბჭოს გათვითობურ სხდომაზე. ეს სხდომა მოიწყო მოსკოვის „კრასნია პრესნიას“ რაიონის ტრეხტორნია მანუფაქტურის ფაბრიკაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს როგორც ფაბრიკის მუშებმა, ისე „კრასნია პრესნიას“ კომკავშირის ცენტრალური სახოს აქტივმა. თავის გამოსვლაში მაიაკოვსკიმ აღნიშნა, რომ ცირკი მოწყვიტულია თანამედროვეობას. მან განაცხადა: „ჩემი მემორიალი „მოსკოვი იწვის“ არის ისეთი რამ, რომელიც ისტორიულ-რეალოგოური მემორიალშიაქრონიკა შეიცავს ათეთრ-ოქროს გვირგვინის დღევანდელი დღე. მასში მე „კრასნია პრესნიას“ კი არ ასახავ, არამედ საერთო წარმოგეგნას ვითოვებ 1905 წელზე. მინდა ნახო, თუ მუშაობა კლასი, გენერალური რეპერტორის გაკეთის, როგორ მივითა დღევანდელ დღესთან.“ კრამბ დაადგინა, რომ მაიაკოვსკის მემორიალ „საქიროსა და სწორი“. სხვათა შორის, აქვე შეიძლება ითქვას, რომ 1931 წლის მაისიდან ამ სტრუქტურის ატაქორი აქ აღნიშნული სამხატვრო-პოლიტიკური საბჭოს წევრი იყო.

მაიაკოვსკი მზრალე მონაწილეობას ღებულობდა ცირკის კოლექტივის მუშაობაში ამ დადგმაზე. პოეტი მსახიობებს ეხმარებოდა მისი ლექსების ფორმისა და შინაარსის დაუფლებით. დადგმის საერთო გეგმა ეკუთვნის ს. რადლოვის, მხატვარი იყო ვ. ხოთასევიჩი. წარმოდგენაში მონაწილეობდა ხუთასამდე კაცი. 1931 წლის ეს მემორიალი ლენინგრადში დაიდგა, შშმდებო კიევისა და სარატოვში.

საქტაკოვის მსაოჯღობის დროს მინწინდლოვან როლს ასრულებენ კინოჟანანები. მემორიალის მეორე ნაწილის დასაწყისშივე ერთ-ერთ ვარსებ მაკურებლის თვალში წარმოსადგება ვლადიმერ ილიას ძე ლინინი, წინ გაწადილი ხოვით. კინოაურ ლინინს მიჰყავს მმრმომლთა მახევი წინ — აამარჯეებისაჲნი. ამას მსახიობი გადმოგვეყვს პოეტის მგზნებარე სტრუქტურები.

ვინ არ მოქმედებს მაიაკოვსკის ამ დიდ საცირკო პიესაში: მუშები, სტუდენტები, ქალიშვილები, ოფიცრები, ტუსაღები, პოლიციელები, მინისტრები, მეფაბრიკეები, კახაკები, გვარდიელები, კლოუნები. ამ მრავალრიცხოვან მოქმედ პირთა შორის არიან ცალკე პიროვნებანი დაწყებული გენერალ ტრეპოვით და დამთავრებული რომის პაპით, კერენსკითა და მაკდონალდით. და როგორც თვითონ მაიაკოვსკი წერს: „მასში მო-

ნაწილებენ ადამიანები, თოჯინები, მშვენიერი მხეცნი და წყალი.“

ასეთი წარმოდგენის მოწყობას ესაჭიროება მრავალრიცხოვან მუსიკოსთა, მომღერალთა, ფიზკულტურელთა დროულად მოწოდება. საჭიროა აგრეთვე სამხედრო ნაწილების მონაწილეობა. პიესის დადგმის საერთო გეგმა მოითხოვს როგორც ცოცხალი მონაწილეობის ორგანიზებას, ისე დიდებს სახეების გამოყენებას, რომელთა შორის არის ავტომობილები, ცხენოსანი ნაწილები, პრექტორები, კინოდანადგარები, პიროტექნიკა, პიროტექნიკური ეფექტები, კოსტუმები, პუტაფორია, რეკვიზიტი და სხვ.

სექტაკლის დამდგმულ რეჟისორს უამრავი სამუშაო ჰქონდა. ყოველივე ამის აღწერა შორს წავიყვანდა. აქ ვგულაფერი უმცირეს დეტალამდე უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი და მომზადებული.

მაიაკოვსკისათვის უცხო იყო ისეთი თემები, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა დღევანდელ დღესთან, სოციალისტურ მშენებლობასთან. მას ყველთვის აინტერესებდა საკრიზოროტო საკითხები, რადგან პოეტმა იცოდა, რომ ეს საკითხები ჩვენს ქვეყნის მმრმომლთა ფართო მასებს აღლუვებდა.

საბჭოთა კავშირში ძალზე პოპულარულია საცირკო ხელოვნება. არენის ოსტატები დაუღალავად შრომობენ თავიანთი კვალიფიკაციის, ცოდნის ამაღლებასზე. ცირკის მსახიობებს ესაჭიროებათ ტექსტები თავიანთი გამოსვლისათვის. პროფესიული იუმორისტები მათთვის წერენ ცალკე კოლუნდებს, მაგრამ საჭიროა ასევე რამ, რითაც კალმის ოსტატებმა უნდა გაამდიდროს, საინტერესო და მრავალფეროვანი გახადონ საცირკო დადგმთა შინაარსი და, როგორც მაიაკოვსკი მოუწოდებდა, დაუხსლოვან ცირკი თანამედროვეობას. მხოლოდ მწერალთა და ცირკის მსახიობთა მჭიდრო ურთიერთობა ადგილიდან დასმარავს და წინ წასწივს ამ დიდ და საპატიო საქმეს. მართალია, უკანასკნელ წლებში დაიდგა რამდენიმე პანტომიმა („კრანეალი კუბაში“, „მოდის გემი ანიუტა“ და სხვ.), მაგრამ ეს როდია საკმარისი.

ესაბიდა, ცირკში მოსულ მკურებელს სურს, ზევირი საინტერესო ნახოს, აღფრთოვანდეს, გაიხაროს და იცინოს მთელი სულითა და გულით. სწორედ ასეთი შესანიშნავი, ამაღლებული სექტაკლი იყო მაიაკოვსკის გმირული მემორიალის დადგმა მოსკოვის ცირკში. ანტრაქტიში რამდენიმე წუთის განმავლობაში ცირკის მთელი არენა თბილი წყლით აივსო. წარმოდგენის ფინალი დამთავრდა არაჩვეულებრივი საცირკო სანსაოპით, რომელსაც ამშვენებდა მოკრავე სპორტსმენების შესანიშნავი გამოხატვა. ბოლის წყლის შუავლიდან თანდათანობით ამოვიდა ვეებეროლა, მხატვრულად გაფორმებული დედამიწის ბურთი. მასზე იდგა სპორტსმენი ქალიშვილი ხელში წივილი დროშით. არენაზე მყოფი მთელი საცირკო დასი შედგარად გრგვიანდა მაიაკოვსკის პოეტურ სტრუქტურებს:

მეოლი აივსე
ახლ ზალისით,
გახიდ ლალი და
უფრო მგზნებარე,
თი, მალღუბი



სოციალიზმი —
ვით სინამდვილე
ნაოცნებარი.
ლექსად გაეცაზოთ
ლოზუნეი მოყვასს,
მოყვარეაოთ
სიტყვით ქვეყანა.
დამცველ ბრიგადას
სამჭრო მოყვეს,
დამცველ სამშტრის
მოთელი ქარანა.

აღფრთვანებული მაცურებელი მადლიერი თვალით შეკ-
ურება მრავალფეროვანი პროფექტორით გაცისკროფენებულ სა-
ნახაობას და ყველას, ვინც იქ იყო, სამუდამოდ ჩარჩა გონე-
ბაში ცირკის არენაზე გათამაშებული ეს მშვენიერი სანახა-
ობა.

ახლა, ბუნებრივია, ისმის ასეთი კითხვა: განა მისაბაძი
არ არის ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ქართული ცირკის ნიჭიერი
კოლექტივისათვის ასეთი გრანდიოზული, ნოვატორული სა-
ცირკო სანახაობა? განა არ შეიძლება ასეთივე ძლიერი ქარ-
თული საცირკო წარმოდგენის შექმნა? ვფიქრობთ, რომ ეს

სახეებით შესაძლებელია. თუ ეს შესაძლო მოსკოვის პირველმა
სახელმწიფო ცირკმა ოცდაათიანი წლების გარიერაზე,
ლა — სამოციანი წლების შუაგულში — უკვე დროა ქართველ-
მა მაცურებელმა ნახოს შინაარსიანი, დიდი საცირკო ქართუ-
ლი სპექტაკლი. მომავალ 1965 წელს სრულდება რუსეთის
პირველი რევოლუციის 60 წლისთავი. ამ დიდ თარიღთან და-
კავშირებით ქართული საცირკო სპექტაკლისათვის საცმარისი
იქნებოდა გამოჩენილი ქართველი მწერლის ლეო ქიქელიძის
„ტარიელ გოლადან“ აღებული რევოლუციის ამსახველი
ეპიზოდების გამოყენება. ამას შეიძლება მიემატოს ქართველი
მწერლების მრავალი ნაწარმოები ამავე თემაზე.

ამისათვის საჭიროა ცირკმა მიიზიდოს და აღზარდოს
ახალგაზრდობისაგან შემდგარი სპორტული ორგანიზაციები,
შექმნას სათანადო ტექნიკა მულომომისა და პანტომიმის და-
სადგმელად, გამოიყენოს ცირკის, თეატრის და კინოხელოვნე-
ბის ყველა მიღწევა, არ დაიშვას დრო და ენერჯია, გამო-
ნახოს ქართული მწერალთა, დრამატურგთა, საცირკო ხელო-
ვნების მცოდნე ავტორთა შორის ისეთნი, რომლებიც შექმნიან
ქართულ გამორულ მულომომის, პანტომიმის და მაცურებელს
აღფრთვანებულ ახალი საცირკო მიღწევებით.

მთიანი რაიონის თეატრალური

ცხოვრების წარსულიდან

ილო ბეჟანიშვილი

ადგილობრივი და ჩამოსული ახალ-
გაზრდობა. მათ შორის აღსანიშნავია
ახალგაზრდა სტუდენტი, შემდეგში
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი ალექსანდრე ნაშორაძე,
შ. და გ. გელოვანები, მ. და ნ. შამა-
ნაურები, ვ. ვართანოვი, ი. ზოპაშვი-
ლი, ლ. დოლიაშვილი, ნ. და ვ. გოგო-
ლაძეები, ექიმი ნ. კლიმიაშვილი, შ.
ჩოლოყაშვილი.

მომდევნო წლებში კიდევ უფრო
გაუართოვდა სცენისმოყვარეთა წრე.
მასში გაერთიანდნენ ი. ფიცხელაური,
ს. წიკლაური, ლ. ჩიბალაშვილი,
ვ. ბუწკალური, არჩ. ფიცხელაური,
შ. დედაბერიშვილი, ნ. ქუმსიაშვილი
(საქართველოს სსრ სახალხო არტი-
სტი), ვრ. გამრეციელი, დ. მალალაშვი-
ლი, შ. სულთანიშვილი და სხვ.

ქალებიდან წრეში მუშაობდნენ კა-
ტო, მანანა, თებრან გოჯიაშვილები.
ანიკო გონჯილაშვილი, ლუბა ჯინ-
ჭელაძე-ჯიბლაძე, სოფიო ნაშორაძე,
მამო ფიცხელაური და ქეთო გუგუ-
ტიშვილი.

სცენისმოყვარეთა მიერ თიანეთის
სცენაზე პირველად იქნა წარმოდგე-
ნილი ირეთელის დრამატული პიესა
„დამარცხებულინი“. სპექტაკლი მაცუ-
რებელმა გულთბილად მიიღო და,

თანეთის ყოფილ მაზრას,
აღმოსავლეთ საქართველოში
ყველაზე მაღალმთიანს, თა-
ვისი კულტურული ჩამორ-
ჩენილობის მიუხედავად, თეატრალუ-
რად ცხოვრების მდიდარი წარსული
აქვს.

ჯერ კიდევ 1893 წელს სამაზრო
ცენტრ თიანეთში ცნობილი ექიმისა
და საზოგადო მოღვაწის მიხეილ გე-

დევანიშვილის რეკისორობითა და
მხატვრული ხელმძღვანელობით ეწე-
ყობოდა საღამო-წარმოდგენები, სა-
დაც დიდადლი მაცურებელი ეწრე-
ბოდა.

1910 წელს პეტერბურგის უნივერ-
სიტეტის სტუდენტის ვასილ ჯიბლაძე-
ის ინიციატივით თიანეთში დაარსდა
სცენისმოყვარეთა წრე. ამ წრეში აქ-
ტიურ მონაწილეობას აღებულობდა



ხალხის თხოვნით, დადგმა განმეორდა.

ირეთელის პიესის შთაბეჭდილება მაყურებლებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მესხიერებიდან წაშლილი, როცა სცენაზე ნახეს ე. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, ვ. გულისა „და-ძმა“, ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ციმბირელი“, „ხანუმა“, ვერა და ორ მოქმედებიანი პიესები.

დიდი აღტაცება გამოიწვია სექტაკლმა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, რომელშიც ჩვენი დიდი თანამემამულე, რესპუბლიკის სახალხო არტიტი ნიკო ქუმსიაშვილი ერთ-ერთ მთავარ როლს — ყარაჩოხელ გიჟებს ასრულებდა. ოსტატურად ანახიერებდა ვაჭარ-მიკიტნის როლს ვასილ ჯიბლაძე.

ვასო ჯიბლაძის შემდეგ დრამატულ წრეს დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა შაქრო ჩოლოყაშვილი, რომელიც თიანეთში სამხედრო კომისიის მოვალეობას ასრულებდა.

სალამო-წარმოდგენების დანიშნულება იყო არა მარტო ხალხის გართობა-დასვენება, არამედ საქველმოქმედო ღონისძიებანიც. შემოსავალი ხმარდებოდა წიგნების შექმნის თიანეთის წიგნსაცავ-სამკიბეხელისთვის, რომელიც 1885 წელს დაარსდა, მაგრამ მისი წიგნალი ფონდი იმდენად მცირე იყო, რომ აღინაგადაც ვერ აკმაყოფილებდა ხალხის მოთხოვნილებას. გარდა ამისა, თანხა ხმარდებოდა ღარიბ მთელ სტუდენტებს, რომელნიც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდნენ.

პირველი სერიოზული სინელე ის იყო, რომ არ არსებობდა თეატრის შენობა. ამიტომ საქტაკლები იმართებოდა კერძო მეპატრონეთა სახლების აივანზე, ან მოზრდილ ოთახებში. მიუხედავად მუშაობის ასეთი რთული პირობებისა, სცენის არცერთ მოყვარეს გული არ გაუტეხია, თავდადებულად ემსახურებოდნენ ხალხის კულტურული ღონის ამაღლების საქმეს. არ ერთდებოდნენ არავითარ შუე საშუაშას.

თიანეთში მცხოვრება თვადიშვილებმა ვახტანგ და პარბაგე ბარათაშვილებმა, რომლებიც ცნობილი იყე-

ნენ თიანეთი ქველმოქმედებით, სცენის მოყვარეებს დაუთმეს ძველი შენობა, რომელიც ნახევრად დასოლივანურული იყო, ხოლო სახურავი სარულიად არ ჰქონდა. სცენის მოყვარებმა იგი თიანეთის ხარჯებით შეაკეთეს, სახურავი გადახურეს და სალამო-წარმოდგენებიც გამართეს. მაგრამ ეს შენობაც პატარა აღმოჩნდა.

ამის შემდეგ გადაწყვიტეს დაქირავება იმ შენობისა, რომელიც მღვდელ ზაქარია გრძელიშვილის ქვრივ პულაგიას ეკუთვნოდა. შენობა საკმაოდ დიდი იყო, მთავს შეიცავდა. საჭირო იყო მათი გაერთიანება, სცენის მოწყობა. საჭირო თანხები კი არავის გააჩნდა. მუდის მთავრობის სამხარო აპარატიში მოკალათებულ ჩინოვნიკ მოხელეთათვის სახალხო საქმისათვის ზრუნვა უცხო ხილს წარმოადგენდა. მათ კარვად ესმოდათ მხოლოდ ერთი: სინელეში მყოფი მამების კულუვა უფრო ადვილი იყო, ვიდრე კულტურას დაწაფებული ადამიანებისა.

მაშინდელ შიშაში შებოჭილი იყო ქალბების შემოქმედებითი ინიციატივა. სცენაზე მათი გამოსვლა სირცხვილად ითვლებოდა. ამიტომ სცენის მოყვარებნი დიდი მუშაობა სჭირდებოდათ ქალების წრეში ჩასაშვლად. იყო შემთხვევები, როცა ქალების როლს მამაკაცები ასრულებდნენ.

პირველი მსოფლიო ომის წლებში, მიუხედავად საყოველთაო ნგრევისა, შიშვილისა და ფრონტიდან სამწუხარო ამბებისა, პატრიოტული სულისკეთება, ხალხისათვის უწყვეტო სამსახურის კეთილშობილური მოვალეობა ოდნავადაც არ შენელებულა სცენის მოყვარეთა კოლექტივში. გაუათხოვდა რეპერტუარი. სამხარო ცენტრის თიანეთის სცენაზე იმ დროს წარმოდგენილ იქნა აკაცი წერეთლის — „პატარა კახი“, ა. ე. ყაზბეგის — „არსენა“, დ. სურსათის — „სამშობლო“ და მრავალი სხვ. სცენის მოყვარეთა წრეს შეემატა ახალი ძალები. უმთავრესად სტუდენტი ახალგაზრდობა. რომელიც საზაფხულო არდადეგების დროს მჭქეფარე შემოქმედებით შრომას ეწეოდა ხალხის გოგონები პირიონის ვასაფართოვებლად. მათ შორის აღსანიშ-

ნავია ადგილობრივი მკვებრძალი სტუდენტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, ახალგაზრდა პოეტი კიკნაშვილი (სიმონ ბადურაშვილი) და მისი ახმანა, იმავე უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის სტუდენტი გრიგოლ ხერხეულიძე. ქალბებიდან სცენაზე გამოჩნდნენ ივლიტა გოჭიაშვილი და სულხანიშვილი.

1916 წლის 4 ივლისს ადგილობრივი ახალგაზრდობის მიერ წარმოდგენილ იქნა ა. ცაგარლის „ქართველი დედა“.

როლების შემსრულებლებიდან გამოირჩეოდნენ: ეკატერინე გოჯიაშვილი (დედის როლში), სოფიო ნამორაძე (ლეილას როლში).

ვაქებიდან მაყურებლები მოწონება დაიმსახურეს ნ. ბადურაშვილმა, გრ. ხერხეულიძემ და ნ. გოგოლაძემ. მენუციკების ბატონობის პერიოდში მარბაში ჩაკვდა კულტურული ცხოვრება. ამ დროს თიანეთში ჩამოვიდა ნიკო ქუმსიაშვილი. მან მამინათვე შემოიკრიბა თიანეთის გარშემო ადგილობრივი ძალები და მათს კვლავ განახლდა თეატრალური ცხოვრების მაკისცემა. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელბულა. ნ. ქუმსიაშვილის წასვლის შემდეგ სამხარო ცენტრის სცენაზე ისევ დემოლმა დაისადგურა.

1921 წლის ზაფხულში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სამი თვის შემდეგ, კვლავ განახლდა თიანეთის კულტურული ცხოვრება. ამ წელს თიანეთში ჩამოვიდა დამიტტი მკვიფია. ადგილობრივი ხელმძღვანელ მუშაკთა თხოვნით, იგი შეუდგა დაშლილ სცენის მოყვარეთა წრის აღდგენას და ახალი საქტაკლების მოშობადას. მკვიფიას რეკისრობითა და მხატვრული ხელმძღვანელობით მრავალი საქტაკლი განხორციელდა: „ნომერი ოცდაათი ჯერით“ „შეშლილი“, ვოდველი „დედისერთა“, დავით კლდიაშვილის „ირინის ბედნიერება“. კაროქნას როლის დასამასხორებელი სახე შექმნა მთარსულთანიშვილმა.

დამიტტი მკვიფია სუშობათაშვილის „ღალატის“ დიდი შრომა მოახდომა. საქტაკალი მაყურებლებმა აღტაცე-



ბით მიიღეს. დამდგმელ-რევიზორს მორიგეულე ოვაჯია მოუწევს და საჯაროდ მადლობა გამოუცხადეს.

თანხედში ჩამოდიოდა და სექტაკლებს მართავდა კინოსცენარის „ღრმელთა თავშესაფრის“ ავტორი სამსონ სულაკაური. მისი დადგმით თიანეთელმა მაყურებლებმა ნახეს „ნომერი ოცდარეოთი ჯგრიტი“ და სხვ.

1922—1923 წლებში თიანეთელმა მაყურებლებმა შესანიშნავი სარქუარი მიიღეს. მშრომელთა აქტიური მონაწილეობით შეიღწლიანი სკოლის გვერდით აშენდა თეატრი, რომელიც მოწყობილი იყო იმ დროისათვის ტენიკის უკანასკნელი სიტყვით: ფართო სცენით, მსახიობთა სათავსოებით, შესანიშნავი დეკორაციებით, რომელიც დახატული იყო მხატვარ ნალეზოვის მიერ.

გარდა ძველი თაობისა, თეატრის სცენაზე მოვიდა ახალგაზრდობა, უმოავრესად კომკავშირელი ჭაბუკები და ქალიშვილები. ამ წლებში კვლავ განახლდა ა. ყაზბეგის პიესის „არსენას“ დადგმა. არსენას როლს მალალ-ოსტატობით ასრულებდა ვლადიმერ ზეუნაკაური.

„არსენას“ შემდეგ მაყურებლებმა ხალხის შალვა დადიანის პიესა „გვეგეჟორი“. გვეგეჟორის როლს ასრულებდნენ სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე დიმიტრი ყაყიანიშვილი და შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელი შაქრო დედაბრძოლი. დრამატული კო-

ლექტივი აწყობდა გამსვლელ სექტაკლებსაც — მაზრის სოფლებში — ახმეტაში, სიმონიანთხევეზე და სხვ.

1923 წელს თიანეთის მცხოვრებლებმა მიმე დანაკლისი განიცადეს. ცეცხლის საშიშროება სტიქიამ შთანთქა შესანიშნავი თეატრის შენობა. დასი დაიშალა. სცენის ოსტატები გაიფანტნენ. მშრომელთა კულტურული დასვენების საქმეს სათავეში ჩაუდგა კომკავშირის ორგანიზაცია. დასი აღდგენილ იქნა ძირითადად ახალგაზრდობის ხარჯზე. მასში პერიოდულად ძველი თაობის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. წარმოდგენები იმართებოდა სასამართლოს დარბაზში, ახლანდელ სასტუმროს ადრინდელ ძველ შენობაში და სხვაგან.

ასე გრძელდებოდა 1931 — 1932 წლამდე, სანამ თიანეთში სარაიონო კლუბი გაიხსნებოდა.

სარაიონო კლუბის გახსნით დასიც გაძლიერდა. მას შეემატა ნიჭიერი ახალგაზრდა შემსრულებლები: რ. ნაენიბაძე, არ. ცომაია (მარჯანიშვილის თეატრის ახალგაზრდა მსახიობი), თ. ლევინაშვილი, ვ. სოზაშვილი, ნ. ნაშორაძე, თ. სისაური, მ. შუშანიშვილი, მ. კახიშვილი, რ. სუხიაშვილი, ნ. სისაური (ამჟამად სახელმწიფოს თეატრის მსახიობი), გ. ჯიბლაძე, ნ. გუშარაშვილი და სხვ.

თეატრის ამ ახალგაზრდა კოლექტივმა 1932 წლიდან დიდი სამამულო ომის დაწყებამდე, ბევრი შესანიშნავი

სექტაკლით გაახარა თიანეთის რაიონის მაყურებლები. ამ სექტაკლებს შორის აღსანიშნავია ვასკენარეხელის პოემა „გამზრდელი“, ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“, „გლახის ნამაზობი“, „ცომბირელი“, „ჯგერ დამოცუნენ, მერე იჭორწინეს“, „მუნწი“, მრავალი ვოდევილი და სექტატი.

ახალგაზრდა თეატრალურმა კოლექტივმა სექტაკლები გამართა არა მარტო რაიონის სოფლებში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ალტაცებით შეხვდნენ მათ თელავის რაიონის, წინანდლისა და აკურის კოლმეურნეები.

დიდი სამამულო ომის დაწყებამდე დასს კარგა ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მსახიობი სოკრატ სულთანიშვილი.

ასეთი დიდი თეატრალური წარსულის მქონდა მალალმთიანი რაიონი — თიანეთი.

საბჭოთა სინამდვილეში თიანეთმა სრულიად შეიცვალა სახე. იფურჩქნება და ჰყვავის ჩვენი დიადი ეპოქის კულტურა. მთაში ჭეშმარიტად დიდი კულტურული რევოლუცია მოხდა. ახლა რაიონის თითქმის ყველა სოფელში სასოფლო კლუბი ან ბიბლიოთეკაა, სამი კულტურის სახლია. სცენისმოყვარეთა ძველი თაობის თეატრალურ ტრადიციებზე აღზრდილი ახალი თაობა თიანეთის კულტურის სახლის სცენიდან უფრო მეტად ახარებს ჩვენი მაყურებლის გულს.





სცენა სპექტაკლიდან „ტრიფუბი მტკვრის პირას“

თბილისის სომხური დრამის თეატრი პრეზანში

მირან სტეპანიანი

ნი“, ლოპე-დე-ვეგას „ეშმაკი შეყვარებული“, ა. აბშილაძის „ადამიანი დაბრუნდა“, გ. ბურიაშვილის „ტირიფუბი მტკვრის პირას“.

გასტროლები გაიხსნა სტანინლავესკის სახელობის თეატრის შენობაში სუნდუკიანის „ხათაბალაით“. სპექტაკლს დაესწრენ სომხეთის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები.

გასტროლების დაწყება ამ პიესით შემთხვევითი არ იყო. თეატრმა ამით დაამტკიცა, რომ ის სომხური თეატრის რეალისტური ტრადიციებისა და პრინციპების მატარებელია.

„ხათაბალას“ მდიდარი და შინაარსიანი სცენური ისტორია აქვს. თბილისელთა სპექტაკლმა (დამდგმელი საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ფ. ბეგიანი და რეჟისორი გ. უმიკიანი, მხატვარი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რ. ნალბანდანი, კომპოზიტორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. მერტიჩიანი) ნაყოფებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. კომედიის სიცოცხლისუნარიანობის ძალა არა მარტო მის მაღალმხატვრობაშია, არამედ მკვეთარ სცენურ სახეთა გალერეაში, საინტერესო ფაბულასა და მაღალ იდეულობაში. სუნდუკიანს არ შეეძლო გვერდი აეღო მისი თანამედროვე სასოციალისტური ნაკლოვანი მხარეებისათვის, არ შესებოდა იმ დროისათვის მტკიცეულ პრაზიმებებს. კომედიაში დრამატურგი მწვეველ დასცინის გაქნულ, გაიჭვრა ზამბახოსა და მის მსგავსთ, რომელნიც ცხოვრებაში ყიდვა-ყიდვის მეტს ვერაფერს ხედავენ. აღებ-მიცემის საგანი ხდება ზამბახოს მახინჯი ქალი მარტრიტი. მამას, როცა გადაუწყ-

ამიერკავკასიის თეატრალურ კოლექტივებს შორის შესანიშნავი ტრადიცია დამკვიდრდა. თბილისის, ერევნისა და ბაქოს თეატრები ერთმანეთის ხშირი სტუმრები არიან.

მიმდინარე წლის ივნისში თბილისის სომხური თეატრი, რომელმაც 1958 წელს იზეიმა არსებობის 100 წლისთავი, პირველად ეწვია საგასტროლოდ ერევანს. გასტროლები თეატრალურ ზეიმად იქცა. თეატრის მოყვარულნი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ თბილისის სომხური დრამის თეატრის კოლექტივის ხელოვნების სანახავად. ჯანსაღი სიცილისათვის და სცენაზე მომხდარი ამბების ღრმა განცდისათვის სტუმრებს გულმხურვალე ტაშს უკრავდა ყველაზე ობიექტური კრიტიკოსი — მაყურებელი.

საგასტროლო რეპერტუარი გემოვნებით იყო შერჩეული, მასში შედიოდა: გ. სუნდუკიანის „ხათაბალა“, ს. ხანდაზიანის „მითარ სპარაბეტი“, შექსპირის „მეთორმეტე ღამე“, შილერის „ვერაგობა და სიყვარული“, მოლიერის „ეორე დანდე-

ღება ქალიშვილის გათხოვების იმედი, ყველანაირ ხერხს, ტყუილსაც კი მიმართავს, რომ როგორმე გაასაღოს ეს, როგორც მას თვითონ ცინიკურად უწოდებს „საქონელი“.

სპექტაკლის ავტორებმა მართლად წარმოგვიდგინეს სუნდუკინისეული კომედიის გარემო, რეალისტურად გახსნეს გმირთა სახეები.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ მხატვარ რ. ნალბანდინის ნამუშევარი. სპექტაკლის ასლებური, სცენური გარემოს მეტად ორიგინალური გადაწყვეტა ხელს უწყობს მოქმედების დინამიურობას, რაც ესოდენ საჭიროა კომედიისთვის.

ცენტრალურ როლს თამაშობს საქართველოს სახალხო არტისტი დ. ამირბეგიანი. მისი თამაში გვიზიდავს ორიგინალურობით. განსაკუთრებით ფინალში, როდესაც იფუშება ზამბახოვის სიყრუის ყველა ცდა, მსახიობი ამოწურავს გადმოგვეცემს გმირის ხასიათს, მის მორალურ არარაობას.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წ. ვრუიის ქეთევანმა და ა. კარაჯიანის ნატალიამ. წარმატებით ასრულებს მაჭანკალ ხამფერას როლს დამსახურებული არტისტი ა. ტამაიანი. კომედიის ერთ-ერთ რთულ როლს, მიამიტ ისაის ნიჭიერად, მეტად ბუნებრივად გვიხატავს დამსახურებული არტისტი რ. პაპოვიანი, მსახიობი უდავო კომედიური ნიჭითაა დაჯილდოებული.

მსახიობებმა მთლიანად დატოვეს რესპუბლიკის დიდი ნიჭის წყალობით სულ სხვა ხასიათისა და სტილის სცენური სახეები შექმნეს „მეთორმეტე ღამეში“. მყურებელმა უცებ ვერ იყინა წინა დღეს ნანახი მსახიობები. და მართლაც, განა შეძლებოდა შექსპირის კომედიის გმირებში ოსინოსა და გრაფინა ოლივიამი გვენათ სუნდუკინის პერსონაჟები ისაი და ხამფერა.

„მეთორმეტე ღამეში“ მყურებელი ახალი შემსრულებლებით გაახარა და თეატრის შემოქმედებითი შესაძლებლობები, მისი ფართო ინტერესი გამოამჟღავნა. ეს ენება პირველ ყოვლისა დამსახურებულ არტისტ ქ. სტეპანიანს. მან დიდი ტემპერამენტით შეასრულა ვიოლას ურთულესი როლი, გულწრფელად გადმოსცა ოსინოსადმი თავგანწირული სიყვარული. ისე ღამეზად ლაპარაკობს ვიოლა, რომ მოულოდნელ შედეგს აღწევს — ოლივიას შეუყვარდება გადაცემული ქალიშვილი, რომელიც გემის დაღუპვამ შემთხვევით კუნძულ ილირიაზე მოხვედრა. და აქ იწყება მაცდური გრძნობების კომედია, რაკ-აკ ხშირად გვადლევის შექსპირი თავის კომედიებით. თბილისელების სპექტაკლში მყურებელმა დაინახა ოსინოსი, ოლივიანა და ვიოლას ხასიათების პოეტურობა და ლირიკულობა.

რეჟისორმა ფ. ბუიკიანმა მხატვარ რ. ნალბანდინთან ერთად „მეთორმეტე ღამეში“ წაიკითხა როგორც რომანტიკული ზღაპარი, რომელშიც სუფთა და მშვენიერი გრძნობები იმარჯვებს. ტობის და მარიას მიერ მალვილიოს გათამაშება შთამბეჭდავდაა გადმოცემული. პროვინციული ენდრი ვეიოჩიკის მეტად საინტერესო სცენური სახე შექმნა ზ. სიმონიანმა, დაუდგირა მარიას ტაქტიით თამაშობს ა. კარაჯიანი. კარგია ფსიქტეს როლში მსახიობი ბ. თრდატიანი, სწორად გადმოგვეცემს მასბარას მელანქოლიურ სახეს, მის მსუბუქე ირონიას. გარკვეულად იმპოზანტურია დამსახურებული არტისტის ა. არმა-



სცენა სპექტაკლში „მეთორმეტე ღამე“

კუნის ანტონიო. სპექტაკლში არის ნაკლებად საინტერესო და ნაკლებად გამოხატული სცენური სახეებიც.

შემდეგი სპექტაკლი იყო ა. აბშილავას დრამა „ადამიანი დაბრუნდა“. გადაკარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს თანამედროვე თემაზე დაწერილი კარგი პიესაა. დრამატურგმა მეტად რთული ამოცანა დაისახა მიზნად: პასუხი კითხვაზე — ვინ არის დამნაშავე არჩილისა და სხვათა ოჯახების ტრაგედიაში? ამაზე პასუხი ავტორმა მთელი პიესით გასცა და კერძოდ დრამაჯის სიტყვებით: „ჩემი ორი შვილი გერმანიის ცივ მიწაში წვეს, მე იქ ფხვი დავეკარგე... გვეითებით რისთვის...“ ეს მისი განწილვა, მშვიდობის პიშინი. ავტორმა ბრწყინვალედ გაართვა თავი დასმულ პრობლემას. ომმა ადამიანები ეგოისტებად აქცია, დროებით არასწორ გზაზე დააყენა ისინი.

რთული ხასიათების შექმნა უძღებოდათ მსახიობებს. პატიოსანი შრომული ადამიანის, ექმი არჩილის როლს ასრულებს სახალხო არტისტი დ. ამირბეგიანი, მსახიობი ღრმად ჩასწვდა არჩილის ბუნებას და ოსტატურად გადმოგვცა გმირის სულიერი განცდები.

ა. კარაჯიანი ასრულებს ნინოს როლს. ნინომ დაკარგა ფრონტიდან ქმრის დაბრუნების იმედი და გათხოვდა. იწყება დრამა, რომელიც ქმრის დაბრუნების შემდეგ ქალისთვის ტრაგედიად იქცა. მსახიობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან კარგად გაართვა თავი როლს.

დამსახურებული არტისტი რ. პაპოვიანი ასრულებს ზაზას როლს. უმამოდ დარჩენილი ზაზა ვერ იტანს მამინაცვალს (ლევანი — დამსახურებული არტისტი ა. არსაკუნი), რომელიც მათთან მოვიდა საცხოვრებლად, სტოვებს დედას და ცუდ გზას ადგება.

მყურებელი სიყვარულით ადევნებს თვალს ზაზა — პაპოვიანის მოქმედებას, იგი ბუნებით ბოროტმოქმედი არ არის. ომმა გამოიკვანა წონასწორობიდან და მუსიკაზე მეოცნებე ტაბუკი ციხეში მოხვდება.



სცენა სპექტაკლში „ჟორჯ დანდენი“

მაყურებელზე ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა პატარა ზაზამ (მსახიობი რ. ავაჯანიანი).

საინტერესო, რეალური სახეები შექმნეს ახალგაზრდა მსახიობებმა: რ. თანესიანმა (ქონდარა), ა. სანოსიანმა (წიკია), ს. მანუკიანმა (ბიჭიკაშვილი), ბ. თრდატიანმა (მამაცი წრუწუნა), თამაშში კარგი მსახიობური მონაცემები გამოამჟღავნეს.

სპექტაკლის წარმატებაში ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე რეჟისორ გ. ბეციანთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის მხატვარ რ. ნალბანდიანს, აგრეთვე კომპოზიტორ ს. მირიანაშვილს, რომლის მიერ დაწერილი მუსიკა სპექტაკლის ორგანულ ნაწილად იქცა.

სპექტაკლს ესწრებოდა პიესის ავტორი ა. ამბილავა, რომელმაც გულთბადი მადლობა გადაუხადა მსახიობებს კარგი თამაშითვის. მან თქვა: ლუსინიანის გარდაცვალების შემდეგ პირველად ვნახე არჩილის როლში ამირბეკიანი. უნდა აღვნიშნო, რომ მის ნიჭიერად შეასრულა ეს რთული როლი.

თეატრის რეპერტუარში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გ. ბერიანაშვილის დრამას „ტირანდები მტკვრის პირას“.

ავტორმა აქ ერთმანეთს დაუპირისპირა ერთის მხრივ პატრიარქი და შრომისმოყვარე ადამიანები და მეორეს მხრივ — ორივე შემოსავლის მაძიებელი. დათას (პაპოვიანი) — ოჯახი განსაცდელშია. ისინი უპატიოსნოები არიან და ირიბად უყურებენ ცხოვრების სიმართლეს.

გასტროლების პერიოდში რ. პაპოვიანი სულ სხვადასხვა ხასიათის როლებში გამოდიოდა, მაგრამ ამ დღეს განსაკუთრებით მწიფი იყო მისი ცნობა — მან დათას როლი ბრწყინვალედ განასახიერა.

დარეჯანის თამაშობდა რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ე. ვერი. მსახიობმა დიდი წარმატებით წარმოადგინა მოსიყვარულე დედის სახე.

ყურადღება დამსახურეს მაკამ — ს. შეკიანი, ლადო — ქაჯვორიანი, კვამ — ა. ჟამკორიანი, ზაქარი — რ. სიმონიანი. სპექტაკლის წარმატებას ხელს უწყობდა გ. კასრადის გემოვნებით შესრულებული მხატვრობა და ს. მირიანაშვილის მუსიკა.

ასევე დიდი წარმატება ხვდა წილად სხვა სპექტაკლებსაც: გასტროლების დღეებში თეატრი დამაბულად მუშაობდა. 17 დღეში 30 სპექტაკლი უჩვენეს, სპექტაკლებს 18 ათასამდე მაყურებელი დაესწრო.

გასტროლების დამთავრების შემდეგ ვიზოვით ზოგიერთ მაყურებელს გაეზიარებინა თავისი შეხედულებები და შთაბეჭდილებანი. სომხეთის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ სარტის მელიქეტეიანმა ვეითხა, რომ თბილისის სომხურ თეატრს დიდი ტრადიციები აქვს, და რომ დღეს ის არაფრით არ ჩამოუვარდება სხვა ცნობილ თეატრებს. ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თეატრი მაღალ მხატვრულ დონეზე იდგეს. იმედს გვაქვს, რომ სტუმრები კმაყოფილი იქნებიან ერეგული მაყურებლის, რომლებმაც სათანადოდ შეაფასეს მათი ხელოვნება.

სომხეთის სახალხო არტისტი პარუიჩი სანტროსინი ამბობს:

„კლიერ მომეწონა თბილისელების „ხათბალა“, დადგმა და მხატვრული გაფორმება, მუსიკა, მსახიობთა თამაში, ყველაფერი ეს ქმნის შესანიშნავ ანსამბლს. ბევრი ზამბახოვი მინახავს, მეც ვთამაშობდი ამ როლს, მაგრამ გმირის ამირბეკიანისეული ტრაქტოგაკა სულ სხვანაირია. მისი ზამბახოვი ჩემთვის აბალია როგორც გარეგნობით ისე შინაგანად. ეს მსახიობის ნოვატორობა.“

სუნდუიანის სახელობის თეატრის რეჟისორმა, დამსახურებულმა არტისტმა ვრიგორ მკრტირიანმა განაცხადა, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამირბეკიანის — ზამბახოვმა, პაპოვიანის — ისაიმ, რ. სიმონიანის — ენდრი გვიურიკმა, ს. ვიგაზარიანმა „მეთორმეტე დამეში“; ე. სტეპანიანმა სათენიხას როლში („მითათ სარაპეტიკა“).

გასტროლების დამთავრების შემდეგ სომხეთის ხელოვნების მომავალ სახელში მოეწყო სავასტროლო სპექტაკლების გაფართოებული განხილვა. განხილვას ესწრებოდა ერევნის თითქმის მთელი თეატრალური საზოგადოება. სიტყვაში გამოსვლები ლაპარაკობდნენ თბილისელი სტუმრების მიღწევებსა და ნაკლოვანებებზე.

ყველა გამომსვლელი თავის სიტყვას ასე ასრულებდა — კვლავ გვეწვიეთ, ძვირფასო თბილისელებო!



სცენა ქუთაისის მუშა-ახალგაზრდობის თეატრის სპექტაკლიდან „აფეთქება“ 1929 წ

ქუთაისის მუშა-ახალგაზრდობის

თეატრის

წარსულიდან

ივანე ბუხაიძე

1928 წლის მიწურული იყო. ქუთაისის, მესამე ინტერნაციონალის სახელობის მუშათა ცენტრალური კლუბის გარშემო შემოყრებულ ახალგაზრდა სცენისმოყვარეებს თბილისიდან გვეწვია დ. კობახიძის თეატრალური სტუდიის კურსდამთავრებული, ჩვენი ქალაქის მკვიდრი ს. ცაგარეიშვილი. მისი საუბრიდან პირველად შევიტყვეთ ლენინგრადში არსებულ მუშა-ახალგაზრდობის თეატრის (ეგრეთწოდებული „ტრამის“) ბოლშევიკების შესახებ. ამან ისე დაგვაინტერესა, რომ თეატრალური ხელოვნებით გატაცებული ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა საკითხი დავეყენეთ კომკავშირის ქუთაისის სამაზრო

კომიტეტის წინაშე ჩვენს ქალაქში მუშა-ახალგაზრდობის თეატრის დაარსებაზე. კომკავშირის სამაზრო კომიტეტის მაშინდელმა მდივანმა ვ. ბერიძემ ჩვენს თაოსნობას მხურვალედ დაუჭირა მხარი.

ახალგაზრდებს მეტად მწელ პირობებში მოგვიხდა მუშაობის დაწყება. მეცადინეობისათვის არ იყო შენობა, ფულადი სახსრები, არ გვყავდა რეჟისორი, რაც მთავარია, კარგად ვერ ვერკვეოდით მუშა-ახალგაზრდობის თეატრის არსში, ვინაიდან ასეთი სახის თეატრი ლენინგრადის შემდეგ ქუთაისში დაარსდა. მიუხედავად ამისა, თეატრალური ხელოვნებისადმი უსასულგრო სიყვარულმა, ახალგაზრდულმა ერთუზიანობამ და შემართებამ ყველა სიმძელე გადაგვალახინა.

ამ საქმეში დახმარებისათვის მივმართეთ იმ ხანებში ქუთაისის ქართული სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელს, კოტე მარჯანიშვილს. მან ახალგაზრდობის თეატრს მოამაგრა რეჟისორი დოღო ანთაძე, რომელმაც საორგანიზაციო საკითხები მოაგვარა. შემდეგ, მისივე რჩევით, მუშა-ახალგაზრდობის თეატრის ხელმძღვანელად და მთავარ რეჟისორად მოწვეული იქნა რეჟისორი ივანე ბარველი. გამოცდილი რეჟისორის მოსვლისთანავე ახალგაზრდები მთელი მონდომებით შეუდგნენ მუშა-ახალგაზრდობის კომკავშირის სამაზრო კომიტეტის დავალებით შეედგმით თეატრის კოლექტივის შექმნას უმოავერესად კომკავშირელი მუშა-ახალგაზრდობის ხარჯზე. ახლად დაარსებულ თეატრში მოვიდა ნიჭიერი ახალგაზრდობა აბრე-



1929 წ.

კვირა, ივნისი 2
საშაბათი, ,, 4

ქუთაისი

შუშის ძაფსაღები ქარხნიდან (ამგამად აბრეშუმკომბინატი), მუდისა და სამკერვალო ფაბრიკებიდან. თეატრის კოლექტივში 50-მდე ახალგაზრდა გაერთიანდა.

ახლად ფეხადგმული თეატრის მიზნებისა და ამოცანების გარკვევაში დიდად შეგვიწყო ხელი თბილისიდან ქუთაისში მოღონებული კრიტიკოსის ალექსანდრე სულავას მიერ გამართულმა საინტერესო საუბრებმა ლენინგრადის მუშა-ახალგაზრდობის თეატრის საქმიანობაზე. კრიტიკოს ა. სულავას გადმოცემით, თეატრის რეპერტუარი ძირითადად „აღღებებულ აქტიორთა“ მიერ (ასე ეძახდნენ მაშინ „ტრამში“ მომუშავე მსახიობებს) დაწერილი პიესებიდან უნდა ყოფილიყო შემდგარი. ამით შთაგონებულმა მე და ჩვენი თეატრის წევრმა ტ. კაკაბაძემ კოლექტიურად დავეწერეთ პიესა „ცეცხლის აღში“. იგი სარეცენზიოდ გადაეცა კომკავშირულ მწერალთა წრის ახალგაზრდა ნიჭიერ კრიტიკოს გ. ჯიბლაძეს, რომელმაც ნაწარმოებს კარგი შეფასება მისცა და მოავარი რეპერტუომის ნებართვით მუშა ახალგაზრდობის თეატრმა პიესა მიიღო დასადგმელად.

ბიზის უკონოლობის გამო რეპეტიციებს გავდიოდით ხან კინოთეატრ „დამკერულის“ და ხან კიდევ თოჯინების თეატრის ახლანდელ შენებაში, რომელიც იმ დროს კვირილიძეწოდებოდა

იყო. მიუხედავად მრავალი ხელისშემშლელი პირობებისა, ახალგაზრდები მეჯითად და დაუცხრომელი ენერგიით გაეაგრძობდნენ შეკადინეობას. შრომის ამოდ არ ჩაქუჩდნენ 1929 წლის 2 ივნისის დრამატულ თეატრში ქუთაისის მუშა-ახალგაზრდობის კოლექტივმა მათემატიკის ურენა თავისი პირველი სპექტაკლი. წარმოდგენილ იქნა ივანე ბარეჯლის მიერ რუსულიდან გადმოკეთებული რევოლუციური პიესა „აფეთქება“. მონაწილეობდნენ გ. ჩიჭოვანი, ს. თომიანი, ვ. ინჭკირველი, დ. წულაძე, ნ. დედგირიანი, ზ. გიგოტაძე, ბ. მატარაძე, დ. გვეტაძე, ი. ბუბაძე, თ. ფორგოლაძე, შ. მესხი, გ. ხომერკი, ვ. ნაცვილიშვილი, ლ. ირემაძე, თ. ივანია, ვ. ვარდანაშვილი, გ. ხუნდაძე, ა. შანიძე, ტ. კაკაბაძე, მ. კუჭუხიძე, ა. თუთუბერიძე, ე. მიჭაბერიძე, მ. კვიციანიძე, შ. კვერნიძე, ზ. ლალიაშვილი და რ. წურთელი.

სპექტაკლი დადგა ი. ბარეჯლმა, მხატვრულად გააფორმა პეტრე ოცხელმა, მუსიკა დაწერა მ. შარაბიძემ, დირიჟორობდა ცნობილი მუსიკოსი ილია აბაშიძე.

ამ სპექტაკლში საინტერესო სახეები შექმნეს ბ. მატარაძემ (გურგენიძე), კ. ჩიჭოვანმა (ჯღერასული), დ. გვეტაძემ (ბარდაველიძე), ვ. ინჭკირველმა (პაშა), თ. ფორგოლაძემ, შ. მესხმა (ელო), გ. ხუნდაძემ, ა. შანიძემ (ტელეფონზე მომუშავე), მე გასრულებდი ომბელის კომიკურ როლს. ახალგაზრდა მსახიობებმა თავიანთი გააზრებული თამაშით მოხიბლეს მაყურებელი.

მხატვრული გემოვნებით დადგმულმა „აფეთქებამ“ მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ეს სპექტაკლი ნახა ათასობით მუშა ახალგაზრდობამ და მოსწავლემ. ადგილობრივმა და რესპუბლიკურმა პრესამაც სათანადო შეფასება მისცა სპექტაკლს. 1929 წლის სექტემბრის № 37 ეურნალ „სოფრემიონი ტეატრის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა პიესა „აფეთქება“ ერთ-ერთი სცენის ფოტოსურათი.

მასსოვს პიესის „აფეთქებას“ დადგმის მეორე დღეს თეატრის ფოიეში ი. ზარდალიშვილის შევეხდი, რომელმაც ომბელის როლის წარმატებით შესრულება მომილოცა, რამაც უსაზღვრო სიხარული მომანიჭა.

თეატრის ფინანსიურ მხარეებს თითქოს ერთგვარი გაუმჯობესება დაეტყო, წარმოდგენებიდან მიღებულმა შემოსავალმა იმატა, მაგრამ ეს საქმეს მაინც არ შევლოდა. ახალგაზრდობას კვლავ უჭირდა უხელფასოდ მუშაობა. ბევრი მათგანი თეატრიდან წავიდა, მათ ნაცვლად მოვიდნენ ახალციხე.

კომკავშირის ქუთაისის საოლქო კომიტეტის მიერ მოწოდებულ გამოცდებზე, მიღებუ კომისიაში შედიოდნენ კოტე მარჯანიშვილი, ივანე ბარეჯლი, გიორგი მომცემიძე, გრიშა ჩიხლაძე, ტიტო კაკაბაძე, კომისიამ 1929 წლის 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე ნაყოფიერი მუშაობა გასწია. მრავალი ახალგაზრდა მიიღო მუშა ახალგაზრდობის თეატრ-სტუდიაში, სადაც შემდეგ საგნებს გადიოდნენ: სასოფალობრივი მეცნიერება, ხელოვნების ისტორია, ბიოლოგია, მუსიკის თეორია, ხმის დაყვება, დიქცია, პლასტიკა, რითმიკა, გრიმი, აქტიორული თამაშის ტექნიკა, რუსული ენა. საგნებს გამოვიძლიო პედაგოგები სასოფალობრივი საწყისებზე ასწავლიდნენ.

1930 წლიდან თეატრს საოვაგეში ჩაუდგა ახალგაზრდა რეჟისორი ალ. მიქელაძე. გადახაზილდა თეატრის რეპერტუარიც. დაიდგა ლეოვის პიესა „ღღებები დნებიან“.

სხვადასხვა დროს თეატრის კოლექტივში ირიცხებოდნენ ალ. მამრიკიშვილი, ს. ცაგარეიშვილი, გ. ბაძგარაძე, ნ. დოლიძე, ს. ასათიანი, ა. შანიძე, გ. ხუნდაძე, ი. სალადიშვილი, შ. კირკიტაძე, ვ. დვისაძე, დ. მირცხულავა, ბ. კანდელაკი, შ. გრძელიძე, ე. კახაია, ლ. ირემაძე, პ. ტუყაძე, გ. კუტივაძე, ს. რაზმაძე, შ. მუსხი, თ. ჯობაძე, მ. აჭარაძე, ე. მილორავა, ა. იობიძე, ვ. მახვილაძე, ზ. ლალიაშვილი, გ. სვანიძე, თ. მურუსიძე, შ. შორთოლაძე, ლ. ბეთანოვი, გ. მომცემლიძე, პ. ლოლაძე, დ. მხეიძე, ნ. მხეიძე, კ. გიორგობიანი, შ. გრძელიშვილი, კ. ცაგარეიშვილი, ვ. ცომაია, დ. კუბლაშვილი, გ. კემულარია, და სხვები. ზოგიერთი მათგანი ამჟამადაც დაუცხრომლად მოღვაწეობს თეატრალური ხელოვნების დარგში.

ქუთაისის მუშა-ახალგაზრდობის თეატრმა მხოლოდ შვიდი წელი იარსება. ამ ხნის მანძილზე სხვადასხვა დროს თეატრს ხელმძღვანელობდნენ რეჟისორები: ა. მიქელაძე, შ. მანავაძე, ვ. მურულუა და სხვ. მათი რეჟისორობით თეატრმა მან-

ყურებელს უჩვენა იდეურად და მხატვრულად გამართული მრავალი კარგი სპექტაკლი. პირველ რიგში ვსაჩინებოვალეფის — „დღეები დნებია“, შ. მანავაძისა და შ. დადიანას მიერ უკრაინელი მწერლის მიკიტენკოს პიესიდან გადმოკეთებული — „ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები“, შვკარინის — „ნამიჭვარი“ და სხვ. პიესები ასახავდნენ ახალგაზრდობის გმირულ შრომასა და ცხოვრებას. სპექტაკლებს მაღალ შეფასებას აძლევდნენ ადგილობრივი და რესპუბლიკური გაზეთები.

თეატრმა თავისი არსებობის მანძილზე შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობით გარკვეული წვლილი შეიტანა ახალგაზრდობის იდეურ-მხატვრული აღზრდის საქმეში. ქუთაისში მუშაობის დროს კოლექტივს მარჯანიშვილმა ფასდაუდებელი დახმარება გაუწია მუშა ახალგაზრდობის თეატრს. ამიტომაც განუსაზღვრელია მისდამი ჩვენი, ძველი ტრამალების პატივისცემა და სიყვარული.


არმიელთა ცხოვრებიდან

თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში ზინა და ენოა გგუფური და პერსონალური სამხატვრო გამოყენები. ამას წინააქვეცდომი იყო ნაწარმოებები მხატვართა ერთი გგუფისა, რომელიც ამოცრავასის სამხედრო ნაწილებში მუშაობდა, ეცნობოდა არმიელთა უცვლელი ცხოვრებას. ამ გგუფის მეთაურობდა მხატვარი ქალი ე. დიგუროვა-ქიქოძე, გამოყენა მონაწილეობდნენ: რ. სტურუა, ნ. მანანაძე, ვ. აფაძე, ე. დიგუროვა-ქიქოძე, მ. გვაჯაია, ბ. მანავაძე, ნ. თამაშვა, ნ. ფოფაძე, ს. თაყაი, ა. აბესაძე, ი. თუმანიშვილი, ე. შარლენაია, ნ. ჩარნეცკაია.

გამოყენა, რომელზეც სხვადასხვა ენარის ნაწარმოებები იყო წარმოდგენილი, ცხადყო ქართველი შემოქმედი მუშაების დიდი ინტერესი ჩვენი სამშობლოს დამცველთა სახეების სიმართლით და საინტერესოდ ასახვისადმი.

მ. გვაჯაია

წერილი სახლიდან



ნ. მინაროვი

მარშა





ნიკო ჩუბინაშვილი

ქართული ხის ჩუქრობა

პარმენ ზაქარაია

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ქართული ხელოვნების ისტორია, როგორც მეცნიერება, ახალი დარგია. იგი ფაქტიურად ჩაისახა და განვითარდა საბჭოთა ეპოქაში.

რევოლუციამდე საქართველოში ხუროთმოძღვრულ ძეგლებს არ სწავლობდნენ როგორც ხელოვნების ნაწარმოებებს. მკვლევართათვის ძეგლების მხატვრული მხარე ყურადღების გარეშე რჩებოდა. მათთვის ძეგლები საინტერესო იყვნენ, როგორც არქეოლოგიური ან ზოგადად ისტორიული მოვლენები. ისინი უდიდესი გულისყურით ვკიდებოდნენ ნაგებობაზე არსებულ დიდ თუ პატარა წარწერას, მაგრამ თვით ჰეიტი ნატიფად ნაგები სასახლე თუ ტაძარი, ციხე თუ კოშკი დამოუკიდებლად განხილვის საგანი არ იყო. დღეს ყველასათვის ცნობილია თუ რა პირველხარისხოვანი ნაგებობები დაავიკრეს ჩვენმა წინაპრებმა. უსახელოდ და უკვალოდ ჩაქარგულ ხუროთმოძღვრებს

ბევრი მალახმარისხოვანი ნაწარმოები შეუქმნიათ; მათ განცვიფრებაში მოჰყავდათ და მოჰყავთ ადგილობრივი, თუ უცხოელი. საჭირო იყო ყოველივე ამის ამტკიცებელი, მეცნიერული გაშუქება, გარკვევა და დადასტურება მათი თვითმყოფადობისა. ამის გაკეთება არც ისე ადვილი იყო, რადგანაც ბევრი საკითხი უცხოელ მკვლევართა მიერ უსწოროდ იყო გაშუქებული. მიუხედავად ამისა, ჩვენი თაობის ქართველ მკვლევართა მიერ მალაღ მეცნიერულ დონეზე ჩატარებულმა ბეჯითმა, ხანგრძლივმა შრომამ შესაფერისი ნაყოფი გამოიღო. საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობამ ბევრი საკვანძო საკითხი სწორად გააშუქა და ჩვენს ძველ ხელოვნებას კუთვნილი ადგილი მიუჩინა მსოფლიო ხელოვნების განვითარების გზაზე.

კერძოდ, ხეზე მხატვრული კვეთის ისტორია ძალზე საინტერესო საკითხს წარმოადგენს, მაგრამ მისი გენეზისისა და



არის დადგენა მხოლოდ ახლახან შეიქმნა შესაძლებელი.

XIX საუკუნეში მკვიდრული ქართულ ხეზე კვეთის ძველ ნიმუშებს მრავალი მოგზაური თუ მეცნიერი მოჰყავდა ალტაქებში. ზოგმა მათგანმა შენიშვნები გააკეთა, ზოგმა კი მოწავე უძღვნა. მაგრამ ისე ღრმად და საფუძვლიანად არაა შეისწავლია, როგორც ეს შესძლია ნიკო ჩუბინაშვილმა თავის — ახლახან გამოცემულ მონოგრაფიაში: „შუასაუკუნეთა ქართული ხის ჩუქურთმა“ (X—XI საუკუნეები). თუმცა, იგი წიგნის შესავალიში წერს, რომ მის მიზანს მასალის უბუღოკივია წარმოდგენა, მაგრამ საზგასით უნდა აღენიშნოთ, რომ ეს მხოლოდ ავტორის თავმდაბლობაა; მისი წიგნი კაპიტალური ნაშრომია, სადაც ყოველმხრივ გაანალიზებულია ხეზე კვეთის ნიმუშების ერთი წყება. და ეს ნიმუშები შემთხვევით აღებული კი არ არის, არამედ ჩვენს სინამდვილეში არსებულიაგან საუკეთესოებია.

მართალია, ნაშრომში ძირითადად განხილულია ისტორიის მცირე მონაკვეთი — X—XI საუკუნეთა მიჯნა, მაგრამ იგი მხოლოდ წლების რაოდენობითაა მცირე, თორემ სხვა მხრივ დიდია, რადან ხეზე მომუშავე ქართველს, მოდღვეო საუკუნეებში, სამწუხაროდ, უკეთესი არაფერი შეუქმნია.

ნიკო ჩუბინაშვილს მოუპოვებია დიდალი მატერიალური კულტურის ძეგლები, რომელთაგან მხოლოდ ერთი მონაკვეთია აღებული და გამოცემული. მაგრამ ამ მონაკვეთის დამუშავება ისე არ შეიმძებოდა, თუ შუასაუკუნეებისა და წინა პერიოდის მასალას საფუძვლიანად არ შეისწავლიდი. ნაშრომის წაკითხვისას პირველად სწორედ ის გვეცნობთ თვალში, რომ ავტორი სხვა და ხშირად შორეული ეპოქების ანალოგიურ მასალასაც ისევ დაუფლავს, როგორც საკუთრივ დასამუშავებელს. ავტორი ხის დამუშავების ისტორიას იწყებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე შესამე ათასწლეულის ბოლოდან, მაშინ როდესაც სამგორის ყორღანებისათვის ხის კამრებს აგებდნენ. იქიდან ძაგი გაბმულია მცხეთაში ნაპოვნი ანტიკური ხანის ვერცხლით დაფარულ ხის ჩუქურთმამდე და შემდეგ შუასაუკუნეებამდე. ამ ვრცელ განხილვაში ხალხური საწყისი ხეზე კვეთის ნიმუშებზე სხვა დარგებზე უკეთესად ჩანს.

რადანაც მკითხველს შედარებით ახალ მასალას აცნობდა, ავტორი კარგად მოიქცა, რომ ნაშრომს წაუშვლავა საკმაოდ ვრცელი შესავალი. აქ მოცემულია საკითხის შესწავლის ისტორია და მასალის მოპოვებისა და შეგროვების თავისებურებანი. აქვე ეზრება იგი საკითხთან დაკავშირებულ მცირე ლიტერატურასაც.

შესასწავლელ მასალა არა მარტო ფუნქციონალურად იყო დაკავშირებული არქიტექტურულ ნაგებობებთან, არამედ სტილისტიკურადაც. რის გამოც ავტორი მკითხველს აცნობს ქართული არქიტექტურის გზებს და მოხაზავს ყოველს ეპოქის თავისებურებებს, სადაც უფრო რელიეფურადაა გამოყოფილი X—XI საუკუნეები.

ავტორი მკითხველს მეორე თავის შესავალი ნაწილით ხეზე კვეთის დონისა და თავისებურებათა გარკვევის უაღვილებს აქ ნათქვამია, რომ ქართული ხელოვნების წამყვანი დარგი არქიტექტურა IX—XI საუკუნეებში განიცდის უწყვეტ განვითარებას და ახალ სტილისტიკურ მონაცემთა ფორმირებას. ამ ხანის მთავარი ძეგლები ცხადად გვიჩვენებენ ძიებას და ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლას. იქვე კარგად ჩანს ძვე-

ლი სახეების უარყოფა და ახალი, ძლიერი ნაკადის დამკვიდრება. ამავე დროს, განვითარების პროცესში არ შეიმძებნა არ შეემაწინოთ, თუ როგორ გადადის ერთი საფეხურიდან მეორეში არქიტექტურული-მხატვრული ფორმები და როგორ არსებობენ ახალთან ერთად. მაგრამ ახალი თანდათანობით ღრმავდება და ძველი იკარგება მის წიაღში.

ავტორის თქმით, არქიტექტურული ორნამენტის განვითარებაშიც ჩანს ცვლილებათა პროცესი. თუ VIII საუკუნეში ძლიერ შეიმწევა ორნამენტი, იგი თანდათანობით ხდება რელიეფური, ადვილსაც მეტს ამითხოვს და ფორმებიც მრავალფეროვნდება.


ქედურ ხელოვნებაში კი დროის პატარა მონაკვეთით ხდება ჩქარი ზრდა, სადაც განვითარების ერთი ფაზა ცვლის მეორეს. ამ ეპოქაში ქანდაკებამ იპოვნა თავისი სწორი გზა, მაგრამ მის არ ეძლევა გაღრმავებისა და განვითარების საშუალება. შემდეგი დიდი ხნით წყდება მისი წინსვლა, ხოლო ორნამენტი კი გამოდის პირველ პლანზე.

ავტორი საკუთარ მასალას ვიწრო ჩარჩოებში არ იძილავს, არამედ იქვე აკეთებს მოკლე ექსკურსს მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებში და ასკვნის, რომ ქართული ხეზე კვეთილობის მონუმენტური ძეგლები, შედარებით მიზანტასთან და საერთოდ დასავლეთთან, თუ აღმოსავლეთთან, წარმოადგენს განსხვავებულს, მხატვრულად დამოაფრებულ ჯგუფს. ასეთი დასკვნა ჩვენ მართებულია მიგვაჩინა. მისი დახადასტურებელი მასალა საკმაოდ მოიპოვება ნაშრომში.

წიგნის ცტრა თავიდან რვაში განხილულია უშუალოდ ძეგლები, ხოლო მეტეტი შეეება ინსტრუმენტს.

ითიოველ თავში მასალა მოცემულია შერჩევით — გავუხვბად ან ცალ-ცალკე, რაც აადვილებს მის ათვისებას. თუმცა, ავტორი ამაზე არ ლაპარაკობს, მაგრამ უნდა იკულისმებოდეს, რომ დაცულია ქრონოლოგია და ძეგლების ხარისხიც; ერთმანეთში არ არის ანეული ხელოვნებისა და ხელოსნობის ნიმუშები.

მოჩუქურთმებული ხის კარები ყველაზე მეტი რაოდენობით სვანეთში ყოფილა. ავტორი ამის ძირითად მიზეზად ასახელებს სვანეთის იმ დროის ეკლესიებზე ჩუქურთმებისა და რელიეფების არარსებობას; ითიქოს ოსტატებმა ხეზე კვეთით აინაზღა-





ურეს დანაკლისი. შესაძლოა, ეს აზრი სიმართლეს არ იყოს მოკლებული (გვ. 39-40).

ყველა ნაწარმოები ერთნაირი ხომ არ არის. ავტორის აზრით ხეზე მკვეთელთა შორის იყვნენ ხელოვანნიც და ხელოვანნიც. მას სასამთავრო კარვად აქვს ეს იმავით განაალიზებული ერთგვარ და დასაკვისი, რომ ერთი და იმავე დროს გვერდით-გვერდ კედლებს მაღალი მხატვრული გემოვნებით შესრულებული ისეთი ნაწარმოებები, როგორცაა: ხის კარები ფარის, ორინდალის, ფხორტრების და ამავე დროს, მაგალითად, მაცხენარისის ორ კარს აკეთებენ ჩვეულებრივი ხელოსანები (გვ. 93).

XI საუკუნეში ქართული ხელოვნების ყველა დარგში შესამჩნევია აღმავლობა. არქიტექტურაში ახალი ფორმების ძიების გვერდით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფასადების მორთვას. მაგრამ ამავე დროს ინტერიერის მორთვაც არანაკლები მნიშვნელობისაა. ფრესკებით დაფარული კედლების ფერადოვან გამას სათანადოდ ესატყვისება მოქუქურთმებელი ქვის კანკელი, ოქრო-ვერცხლით მოჭედილი ვერცხლი თუ ხატები. ზოგან ამასვე ემახურება მოხარატებული ხის კარებიც, რის საუკეთესო მაგალითებსაც ოწინდალის, ჯახუნდერის, ჩუკულის და სხვა კარები წარმოადგენდა.

ამ ეპოქის ხეზე მომუშავეთა მაღალი დონის მარეწებლად ავტორი მიმართავს კარებს გარდა სხვა ნიმუშებსაც. ასეთებს წარმოადგენს ლეჩხუმის ჭელური ხატიდან დარჩენილი წმ. გიორგის თავი და წყირმის წმ. გიორგის ჭელური ხატის ხის საფუძველი.

ერთი და მეორე მაგილითიც წარმოადგენს კარელიეფს, რომელიც მრავალ ქანდაკებაში გადადის, რაშიაც ჩანს ქანდაკების განვითარების მაღალი საფეხური. ეს და სხვა მაგალითები, ცხადია, მარეწებელია იმისა, თუ რა გზით მიდიოდა რელიეფის საკითხი საერთოდ და კერძოდ ხეზე კვეთისა და ქაღურ ხელოვნებაში.

ნიკო ჭიბინაშვილმა ლიტერატურაში ცნობილ მასალასთან ერთად უცნობიც გამოიტანა. თუ ძველი ადგილგადასაცვლებულია, მაშინ იგი ცდილობს დაადგინოს მისი მადარუობის საკითხი, რაც ცხადია, მნიშვნელოვანია არა მარტო მასლის ისტორიისათვის, არამედ ამა თუ იმ მხარის წარსულის დასადგენადაც.

განხილულ ძეგლებს ანალიზის შედეგად მოძებნილი აქვთ თავიანთი ადგილი. ხეზე კვეთის ნიმუშების განაალიზებისას იგი არაფერს არ ტოვებს უუფრადღებოდ. მაგალითად, ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი წარწერებს. ძეგლების ქრონოლოგიური ჩარჩოები დამაჯერებელია. ზოგი ძეგლი, თუ ადრევე იყო დათარიღებული, იგივე არ შეიძლება ითქვას დანარჩენებზე, რომელთაცაა გამოირჩევა მდივების კარები. მათ ბევრჯერ XIV—XV საუკუნეებში ათავსებდნენ და იმეოთად XI საუკუნეში. წინამდებარე გამოკვლევის გამოქვეყნების შემდეგ იგი საბოლოოდ დამკვიდრდა XI საუკუნეში.

ნაშრომის ბოლოს ავტორი იხილავს ხეზე კვეთის ინსტრუმენტებს. ეს თავი საინტერესოადა დაწერილია: მასში განხილულია ჩვენს სინამდვილეში პირველად არა მარტო ხელსაწყოები, არამედ ხელოსანობის ბევრი საკითხიც. ამიტომ ამ თავის სახელწოდება ვერაა სრული. მას უფრო ფართო სახელი უნდა ჰქონოდა.

აქვე შეიძლება გაავკეთოთ რამდენიმე შენიშვნა.

ავტორი ნაშრომს ყოფნის თავებდა მოჩუქურთმებელი კარებისა, ჩარჩოებისა და კოჭების მიხედვით. ჩვენ ადრე აღნიშვნით, რომ ძეგლების ქრონოლოგიური დაკვირვება ადვილებს მასალის გაგებას. მაგრამ, ვფიქრობთ, უკეთესი იქნებოდა ყველაფერი ეს, ავტორს ერთ თავში მიეცია. მაშინ გვედგება და სახეობი ქვეთავებში მოთავსებულა. ამის შემდეგ თავებდა გამოყოფოდა ცალკეული პრობლემები თუ საკითხები. რის შედეგადაც შესაბუნებების ხეზე კვეთის ისტორია მიიღებდა თავის დასრულებულ სახეს და არ გვექნებოდა საქმე ისეთ დასკვნასთან, როგორც დართული აქვს წიგნს ბოლოში. ჩვეუ კვეთის ისტორიიდან ასეთი მონოგრაფიული ნაშრომი სხვა ხომ არა გვაქვს, ამიტომ დასკვნა უფრო ვრცელი უნდა ყოფილიყო. ავტორის წიგნის ბოლოს ერთი განმარტავადებული თავი რომ მოეცა, მაშინ მკითხველი უფრო კმაყოფილი დარჩებოდა. ამის გაკეთება ავტორს რომ მოესურვებია ადვილად დასძლევდა. უკეთესი იქნებოდა ადრეული და გვიანი მასალების ფართო გამოყენებით ვრცელი განზოგადებები და დასკვნები მოეცა.

